პოლიტიკური პარტიები, მსგავსად სხვა ორგანიზაციებისა, წარმოადგენს მიზნების კოლექტიურად მიღწევის ინსტრუმენტს. მიზნისკენ ეს კოლექტიური სვლა საჭიროებს შესაბამის სამართლებრივ ფორმებს. ამ სამართლებრივი ფორმების სიზუსტით სტრუქტურირება მიმართული უნდა იყოს ორგანიზაციის მიზნებისკენ. შესაბამისად, სამართალი იცნობს სხვადასხვა სამართლებრივ ფორმას, როგორცაა ეკონომიკური სამართლის, იდეალური მიზნებისკენ სწრაფვის და აგრეთვე პოლიტიკური მიზნების სამართლებრივი ფორმები.

### ბ. მოქმედება მესამე პირებთან ურთიერთობებში

ამ სამართლებრივმა ფორმებმა, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის მოქმედება მესამე პირებთან ურთიერთობებში. აქ საუბარია იმ უზრუნველყოფილ შესაძლებლობაზე, მონაწილეობა მიიღოს სამართლებრივ ბრუნვაში, რისთვისაც საჭიროა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების არსებობა და აღნიშნულის სიცხადე. აგრეთვე პარტიების არსებობისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური საფუძვლის არსებობა. მართლწესრიგის მიერ შემოთავაზებული ორგანიზაციის ფორმების ფართო არჩევანმა უნდა უზრუნველყოს ეს ქმედითუნარიანობა მესამე პირებთან ურთიერთობებში.

### გ. გადაწყვეტილებაუნარიანობა შიდა ურთიერთობებში

გარდა ამისა, ორგანიზაცია უნდა იყოს გადაწყვეტილებაუნარიანი აგრეთვე შიდა ურთიერთობებში. ამის უზრუნველყოფა ხდება იმით, რომ სამართალი ქმნის ორგანოებს, აწესებს სტრუქტურებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს. ორგანიზაციის შიდა სტრუქტურაც დამოკიდებულია სამართლებრივი მოწყობის ფორმაზე.

### დ. შიდა დემოკრატია

დემოკრატის კუთხით, პოლიტიკური პარტიებისთვის, ამასთანავე მოქმედებს, გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული პროცესის არსებობა. ეს აგრეთვე ნიშნავს, რომ მოქალაქისთვის არსებობდეს ქმედითი შესაძლებლობები მონაწილეობა მიიღონ პარტიულ-პოლიტიკურ აქტივობაში; საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხ. პირველი ნაწილით

ადიარებულია მსგავსი უფლება.

შესაბამისად საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივი წესები შესაძლებელს ხდის პოლიტიკური პარტიების აქტივობებს დემოკრატიული მოთხოვნების ფარგლებში.

### 3. პოლიტიკური პარტიების სამართლის შეზღუდვისა და დისციპლინირების ფუნქცია

პარტიების დახმარებით და აგრეთვე თვითონ პარტიებში ადგილი აქვს ძალაუფლებისთვის ბრძოლას. ძალაუფლებისთვის ბრძოლა წარმოშობს თავისუფალ ენერგიას, ემოციებს და ქმნის სივრცეებს არასამართლიანი ქმედებებისთვის. აქედან გამომდინარე, ძალაუფლებისთვის ცივილიზებული და თანაბარი შესაძლებლობების პირობებში წარმართული დემოკრატიული კონკურენცია საჭიროებს პოლიტიკური პარტიების მომწესრიგებელი კანონმდებლობის არსებობას. ზემოთთქმულის გათვალისწინებით აუცილებელია პარტიებისა და მათი წევრების ქმედებებისთვის საზღვრების დაწესება და მინიმუმ იმის უზრუნველყოფა, რომ სამართლიანად წარიმართოს ძალაუფლებასთან დაკავშირებული კონკურენცია.

### 4. პარტიები სპეციალურ მიზნის მქონე ორგანიზაციებია

#### ა. ფუძემდებლური მიმართება არჩევნებზე

პარტიები ორგანიზაციებია, რომელთა მიზანია გავლენა მოახდინონ სავალდებულო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. დემოკრატია შეიძლება აგრეთვე გავიგოთ, როგორც პოლიტიკური სისტემა, რომელიც იცნობს *გავლენის ინსტიტუციონალიზებულ სტრუქტურებს*. შესაძლებელია აგრეთვე ვისაუბროთ მოქალაქეთა შესაძლო გავლენის საშუალებებზე „Input-სტრუქტურებზე“. გავლენის მოხდენის ამ სტრუქტურებში ყველაზე მნიშვნელოვანია სახალხო წარმომადგენლობების არსებობა სახელმწიფო ორგანიზაციის სხვადასხვა დონეებზე და ამ სახალხო წარმომადგენლობების არჩევნები და აგრეთვე არჩევნები სხვა პოლიტიკური თანამდებობების დასაკავებლად. ამ კუთხით თუ შევხედავთ, პარტიები წარმოადგენს სპეციალურ მიზნობრივ ორგანიზაციებს, რომელიც იყენებს პოლიტიკური წესრიგის დემოკრატიულ „Input-სტრუქტურებს“.

დემოკრატიული გავლენის მოსაპოვებლად არჩევნებს ცენტრალური დანიშნულება აქვს. შესაბამისად პოლიტიკურ პარტიებს, როგორც სპეციალური მიზნის მქონე ორგანიზაციებს ამ გავლენის მოსაპოვებლად ესაჭიროებათ არჩევნები. შესაბამისად ამ სფეროში გადაკვეთა ხდება პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სამართალს შორის.

#### ბ. სპეციალური მიზნიდან გამომდინარე სპეციფიკური უფლებები და ვალდებულებები

პარტიები, მათი ამ როლიდან გამომდინარე არჩევნებისას სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებებით, თუმცა ამავდროულად ეკისრებათ განსაკუთრებული ვალდებულებები. ამის ერთი მაგალითია პარტიის ფინანსებთან დაკავშირებული გამჭვირვალობის ვალდებულებები.

### გ. გამიჯვნა სხვა ორგანიზაციებისგან

სპეციალური მიზნის მქონე ორგანიზაციის ეს ბუნება, გამოიყენონ დემოკრატიული გავლენის მოპოვების საშუალებები პოლიტიკურ პარტიებს მიჯნავს სხვა ორგანიზაციებისგან, რომლებსაც მართალია სხვა მიზნები ამოძრავებთ, თუმცა შესაძლებელია აგრეთვე ჰქონდეთ პოლიტიკური მიზანსწრაფვები. პარტიების ძირითადი მიზანი აუცილებლად უნდა იყოს გავლენის მოხდენა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და არ შეძლება მდგომარეობდეს ეკონომიკურ აქტივობებში. ამდენად პოლიტიკური პარტიების სხვა ტიპის ორგანიზაციებისგან გამიჯვნისათვის განმსაზღვრელი კრიტერიუმი უნდა იყოს არჩევნებში მონაწილეობა.

## 5. პოლიტიკური პარტიების სამართალი არის კონკურენციის სამართალი

დემოკრატიები ორგანიზებულია როგორც კონკურენციის წესრიგი. ამომრჩევლის მხარდაჭერის მოპოვებასთან დაკავშირებულმა კონკურენციამ ხელი უნდა შეუწყოს მათი ინტერესებისა და მოთხოვნილებების აღქმას და მათგან პოლიტიკური მიზნების ჩამოყალიბებას და ამ მიზნების რეალიზების მცდელობას პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმით.

ნებისმიერ კონკურენციას ესაჭიროება კონკურენციის მოწესრიგება, კონკურენციის მომწესრიგებელი კანონმდებლობა. ეს მოქმედებს, როგორც ეკონომიკური აგრეთვე პოლიტიკური კონკურენციის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური პარტიების სამართალს, როგორც კონკურენციის სამართალს

<sup>1</sup>. თუმცა კონკურენციის შედეგად მოსალოდნელი სასარგებლო ეფექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგება, თუ კონკურენტები ისარგებლებენ *თანაბარი შესაძლებლობებით*. ამის უზრუნველყოფა წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას. კონკურენცია უნდა დარჩეს სამართლიანი, რის გამოც აუცილებელია გარკვეული საშუალებების სამართლებრივად გამორიცხვა. კონკურენცია მოქალაქეთა მხარდაჭერის მოსაპოვებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში იმუშავებს, თუ მოქალაქეებმა იციან, თუ ვინ დგას პარტიის უკან, ე. ი. მოქალაქეებისთვის გასაგები უნდა იყოს თუ რა ძალები დგას პარტიის უკან, მაშასადამე, საჭიროა კონკურენტების გამჭვირვალობა. გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად საჭიროა პარტიების „სასაქონლო ნიშნების უფლების“ არსებობა, მაშასადამე, სახელწოდებებისა და სიმბოლოების დაცვა. აგრეთვე საჭიროა კონკურენციის დაცვა კარტელური შეთანხმებებისგან. პოლიტიკურ პარტიათა სამართალმა, როგორც კონკურენციის სამართალმა უნდა უზრუნველყოს კონკურენციის ღიაობა ახალი კონკურენტებისთვის, მაშასადამე, უზრუნველყოს, რომ „ბაზარზე შესვლისთვის“ არსებობდეს რაც შეიძლება დაბალი ბარიერები. დემოკრატიული პარტიული ცხოვრებისთვის დამახასიათებელია აგრეთვე შიდაპარტიული კონკურენცია, რაც გამოიხატება პოლიტიკური კონცეფციებისა და სხვადასხვა პირებს შორის

<sup>1</sup> შდრ. *M. Morlok*, Parteienrecht als Wettbewerbsrecht, in: FS für D. Th. Tsatsos, 2003, გვ. 408 და მომდ. გვერდები.



კონკურენციაში. აგრეთვე ეს შიდაპარტიული კონკურენციაც უნდა წარიმართოს ღია, სამართლიანი და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების დაცვით. ყველაფერი ეს წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების სამართლის მოწესრიგების საგანს, მისი, როგორც კონკურენციის სამართლის ფუნქციის ფარგლებში.

## 6. პარტიები წარმოადგენს იდეოლოგიურ ორგანიზაციებს

პარტიებს აქვთ საკუთარი ძირითადი იდეოლოგიური ვექტორი, რითაც ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. პარტიების წევრების მოტივაცია მდგომარეობს იმაში, რომ უპირატესობა მიანიჭონ საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის განსაზღვრულ მოდელებს სხვა მოდელებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, პარტიებისთვის დამახასიათებელია განსაზღვრული მსოფლმხედველობითი სწრაფვა. ეს სწრაფვა წარმოადგენს პარტიის წევრობის მოტივს, მოქალაქეების არჩევანის საფუძველს და აქედან გამომდინარე, პარტიების გარე პროფილისთვის წარმოადგენს ძირითად განმასხვავებელ ნიშანს. პოლიტიკური პარტიების სამართლის ამოცანაა, რომ შესაძლებელი გახადოს და დაიცვას პარტიების ეს მისწრაფებები. ეს, პირველ რიგში, ნიშნავს, რომ პოლიტიკური პარტიების სამართალმა უნდა უზრუნველყოს პარტიების თავისუფლება სახელმწიფოსთან ურთიერთობაში. ამაში იგულისხმება განსაზღვრული პროგრამის არჩევისა და განხორციელების და აგრეთვე ამისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული ფორმის არჩევის თავისუფლება და აგრეთვე წევრობის ამ მისწრაფებაზე მორგების თავისუფლება, მაშასადამე, არა ნებისმიერი ადამიანის წევრად მიღების ვალდებულება, ხოლო იმ წევრების გარიცხვის შესაძლებლობა, რომლებიც არსებითად ეწინააღმდეგებიან პარტიის მისწრაფებებს.

## 7. პარტიების ფინანსებისა და ამასთან დაკავშირებული რეგულაციების საკვანძო მნიშვნელობა

### ა. მთავარი პრობლემა: თანაბარი შესაძლებლობები

პოლიტიკური პარტიების სფეროშიც ნაკლებად შესაძლებელია წარმატების მიღწევა ფინანსური საშუალებების გარეშე. ამის გათვალისწინებით ფინანსები პოლიტიკური პარტიების სამართლის მოწესრიგების არსებით საგანს წარმოადგენს.

პარტიების დაფინანსების ძირითად პრობლემას წარმოადგენს დემოკრატიული თანასწორუფლებიანობა. დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური გავლენა საარჩევნო ურნიდან უნდა მოდიოდეს და არა ჯიბიდან. პოლიტიკური გავლენა არ უნდა იყოს მოსყიდვადი. სხვაგვარად რომ ვთქვათ: მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი შანსები გავლენა იქონიონ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მათი ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად. ეს მოქმედებს როგორც ცალკეულ მოქალაქეებთან დაკავშირებით აგრეთვე პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებით, რომლებსაც აქვთ შეხება ფინანსურად ძლიერ ან სუსტ წრეებთან.

### ბ. დაცვა საზოგადოებრივი უთანასწორობის გავრცელების წინააღმდეგ



თავისუფალი საზოგადოება წარმოშობს განსხვავებებს, უთანასწორობას. ეს არის თავისუფალი საზოგადოების გარდაუვალი, და შეიძლება ითქვას ამასთანავე სასურველი შედეგი. ეს, თავის მხრივ, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს თანაბარი შესაძლებლობების პრინციპზე მდგომი დემოკრატიული წესწყობილებისთვის: მოქმედებს, რომ შეძლებისდაგვარად თავიდან იქნეს აცილებული საზოგადოებრივი უთანასწორობის გავრცელება პოლიტიკაზე. პოლიტიკური რესურსის არსებით ნაწილს წარმოადგენს ფულადი საშუალებები, საზოგადოებრივად სტრუქტურირებული რეპუტაცია ან ორგანიზაციული სიძლიერე, ანდაც ცოდნის მარაგი. პოლიტიკური პარტიების სამართლისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისკენ სწრაფვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ფინანსური რესურსების საფუძველზე არსებული ჭარბი გავლენის შესაძლებლობების განეიტრალება.

ამის მისაღწევად არსებობს ინსტრუმენტების ფართო სპექტრი, რომელსაც მიმართავენ მთელი რიგი ქვეყნები. ზოგადი წარმოდგენისთვის, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს პარტიების ღიაობის ვალდებულება შემოსავლებთან და გასავლებთან დაკავშირებით, შემოწირულობების ოდენობის შეზღუდვა, განსაზღვრული წყაროებიდან შემოწირულობების მიღების აკრძალვა, საარჩევნო კამპანიებისთვის ხარჯების ზედა ზღვრის დაწესება.

### გ. პარტიების დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება *სახელმწიფოს მხრიდან პარტიების დაფინანსებას*. ამან, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს თანაბარი შესაძლებლობების არსებობას პარტიებს, ფინანსურად ძლიერ და სუსტ საზოგადოებრივ წრეებს შორის და აგრეთვე უნდა შეამციროს კორუფციის რისკები.

სახელმწიფო დაფინანსების სამართლებრივმა რეგულაციამ უნდა განსაზღვროს, რომელი პარტიები მიიღებენ დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან და აგრეთვე დაადგინოს საბიუჯეტო სახსრების განაწილების კრიტერიუმები. ამასთან, არ შეიძლება არსებობდეს თანაბარი მოპყრობა ყველა პარტიისადმი: მოქალაქეთა მხარდაჭერის მიღებისკენ მიმართული კონკურენციით უნდა მივიღოთ განსხვავებები პარტიებს შორის. მაშასადამე, სახელმწიფო დაფინანსება ორიენტირებული უნდა იყოს თანადგომის იმ მასშტაბებზე, რომელსაც პარტიები მიიღებენ მოქალაქეებისგან. პარტიებს შორის არსებული კონკურენტული სიტუაცია არ შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფო დაფინანსებით.

## II. პარტიული სისტემისა და პოლიტიკური პარტიების სამართლის ანალიზი

პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის ცვლილების იდეები უნდა მოდიოდეს ფაქტობრივი პარტიული ცხოვრებისა (1.) და პარტიული ცხოვრების წესების ანალიზის საფუძველზე (2.).

### 1. პარტიული გარემო საქართველოში

პირველ რიგში, თვალშისაცემია, რომ საქართველოში - ყოველ შემთხვევაში, ფურცელზე - არსებობს პარტიების დიდი რაოდენობა. ამ პარტიების უმრავლესობა ან საერთოდ არ ჩართულა

შესამჩნევად პოლიტიკურ ცხოვრებაში, ან შეწყვიტა აქტივობები. აგრეთვე აღნიშვნის ღირსია ერთკაციანი პარტიების, ანდაც სულაც მოჩვენებითი პარტიების არსებობა. პოლიტიკური აქტივობებით დაკავებულია, ყოველ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება არჩევნებში მონაწილეობას, 18 პარტია, თუმცა ამ პარტიების უმრავლესობა შედის საარჩევნო კოალიციაში მსხვილ პარტიებთან, რომელთან ერთადაც ქმნიან ეგრეთწოდებულ საარჩევნო ბლოკებს. აგრეთვე ამ პარტიების უმრავლესობას არ აქვს პოლიტიკური მატერია ან მნიშვნელოვანი მასშტაბები, რაც გამოიხატება აგრეთვე მათი ამომრჩევლების მინიმალურ რაოდენობაში. მინიმალური მნიშვნელობის სერიოზულ პოლიტიკურ პარტიად შეიძლება მივიჩნიოთ დღეს-დღეობით არსებული პოლიტიკურად აქტიური 4-6 გაერთიანება.

აგრეთვე ამ პარტიების შიგნით ნაკლებად არის განვითარებული შიდაპარტიული ცხოვრება პოლიტიკური აქტივობების კუთხით - მეტ-ნაკლები მოცულობით - კრებების, ყრილობების, დებატების სახით. ეს მოსაზრება მოქმედებს ბუნებრივია აგრეთვე შიდაპარტიული დემოკრატიის სტრუქტურების სიმტკიცესთან დაკავშირებით. ამ პარტიებში ჯერაც ძლიერია ლიდერზე ორიენტირებულობა.

რაც ეხება პარტიების ფინანსურ მდგრალობას, სამოქალაქო საზოგადოებიდან პარტიებისთვის მოდის მცირე ფინანსური დახმარება. აქედან გამომდინარე, მაღალია პარტიების ფინანსური დამოკიდებულება სახელმწიფო დაფინანსებაზე. რაც შეეხება შემოწირულობებს, როგორც ჩანს მას უმეტესწილად ხელისუფლებაში მყოფი პარტია იღებს - ძველი ტრადიციის მიხედვით, ვინაიდან ეს უკავშირდება თავის მხრივ სარგებლის მიღების მოლოდინს. ეს ნიმუში, როგორც ჩანს კვლავინდებურად არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ამის წინააღმდეგ გარკვეულ ზომებს იღებს, მაგ. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონის სახით, რომელიც კრძალვას შემოწირულობებს იმ საწარმოებიდან, რომელთა შემოსავლების 15% და მეტი მიიღება გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე, იხ. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 27-ე მუხ. მე-2 ნაწ. როგორც ვხედავთ, მართალია არსებობს სამართლებრივი ინსტრუმენტები შემოწირულობების მეტწილად სახელისუფლო პარტიების სასარგებლოდ გაღების პრაქტიკის წინააღმდეგ, რაც ბადებს კორუფციული ზრახვების ეჭვებს, თუმცა, როგორც ჩანს, ამან ჯერაც ვერ შეცვალა არსებული პრაქტიკა.

როგორც ჩანს არასრულყოფილი სახე აქვს პარტიების ფინანსების საჯაროობას, რაც მართალია კანონით არის გათვალისწინებული, თუმცა, მიუხედავად ამისა, სახეზეა აღსრულების დეფიციტი.

პარტიული გარემოს განვითარების კუთხით უნდა მოველოდეთ, რომ პარტიული გარემოს კონსოლიდაცია სამომავლოდ მხოლოდ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შემდეგ მოხდება. სამართლის პოლიტიკის კუთხით მიმაჩნია, რომ არსებითი მიზანი უნდა იყოს *პარტიების განვითარების* ხელშეწყობა, მაშასადამე, შიდა ორგანიზაციული პარტიული სტრუქტურების განვითარება, რამეთუ ამით მოხდეს პარტიული ცხოვრების გამოღვიძება და გამარტივება - რაც მთავარია, დემოკრატიული ნიშნების პირობებში. პარალელურად უნდა მოხდეს პარტიული ცხოვრების კონცენტრაციის ხელშეწყობა.

## 2. საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ

### ა. ბუნდოვანება

პარტიების შესახებ საქართველოს კანონი (საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ) საკმაოდ დაწვრილებითაა წარმოდგენილი და ადგილ-ადგილ ძალზე პატარა რეგულაციებსაც კი შეიცავს. გარდა ამისა კანონი დამატებითი მუხლების სახით შეიცავს მთელ რიგ დამატებებს, მაშინ როდესაც სხვა მუხლები ამოღებულია. ამის შედეგია ის, რომ კანონი საერთო ჯამში არ არის კარგად გასაგები და ბუნდოვანია.

### ბ. კანონის სახელწოდება

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კანონი მისი სახელწოდებით პირდაპირ „პოლიტიკურ პარტიებს“ კი არ ეძღვნება, არამედ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს, რაც პირველ მუხლში ფრჩხილებში „პარტიებად“ არის დაკონკრეტებული. უმჯობესი იქნებოდა, თუ კანონი მოგვემდინა გასაგებ დეფინიციას. კანონის მოწესრიგების ადრესატების მკაფიოდ არ დასახელება გამოიხატება აგრეთვე იმაში, რომ კანონი არა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს ეხება, არამედ დაფინანსების მუხლში (30-ე მუხ.) აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

### გ. პარტიის შექმნის წესი

საკმაოდ კომპლექსურია პარტიის შექმნისა და სახელმწიფო რეგისტრაციის წესები. პარტიის შესაქმნელად პარტიის დამფუძნებელ ყრილობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს 300 წევრმა (მე-12 მუხ. პირველი ნაწ.), რეგისტრაციისთვის საჭიროა მარეგისტრირებელი ორგანოსთვის პარტიის 1.000 წევრის სახელის და გვარის წარმოდგენა, მათი დაბადების თარიღის, პირადი ნომრის, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების მისამართების და ტელეფონის ნომრების ჩათვლით (22-ე მუხ. მე-2 ნაწ. „გ“ ქვეპუნქტი). ამ ძალზე გართულებული რეგულაციების პირობებში გაკვირვებას იწვევს პარტიების რეალურად არსებული დიდი რაოდენობა. შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ან არ ხდება პარტიის შექმნის წესების დაცვა, ან მათი დაცვის სათანადოდ გაკონტროლება.

### დ. შიდა სტრუქტურა

შიდაპარტიული სტრუქტურის წესები პარტიებისთვის ადგენს იმ არსებით ორგანოებს, რომელიც მათ უნდა გააჩნდეთ, თუმცა უმეტესწილად არ არის სახეზე შიდაპარტიული დემოკრატიის სპეციფიკური გარანტიები. მართალია საუბარია იმაზე, რომ პარტიებმა წესდებებში უნდა გაითვალისწინონ დისციპლინური ზომები (პარტიის წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებით იხ. მე-13 მუხ. პირველი ნაწ. „დ“ ქვეპუნქტი). თუმცა, თვითონ კანონი არ ადგენს პარტიის წევრობის შეწყვეტის არც მატერიალურ-სამართლებრივ და არც პროცედურულ წინაპირობებს. კანონი აგრეთვე არ შეიცავს სახელმწიფო არჩევნებში კანდიდატურების დემოკრატიულად წამოყენების რეგულაციებს.

#### ე. ფინანსური სისტემის სამართლებრივი საფუძველი

კანონში პარტიების *ფინანსური სისტემა* მოწესრიგებულია დაწვრილებით და საკმაოდ მკაცრად, იხ. 25-ე და მომდ. მუხლები. შესაძლოა ის, ცალკეულ შემთხვევებში, ძალზე შემზღვეველი იყოს, მაგ. როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის სავალდებულო მონაცემების გადაცემას. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი არ აწესრიგებს იმას, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს, ცალკეულ შემთხვევაში, პარტიების ანგარიშგება მათ ფინანსებთან დაკავშირებით, არამედ 32<sup>2</sup>-ე მუხ. მიხედვით ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ წესს ადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ეს, ერთი მხრივ, გაუგებარს ხდის პარტიებისთვის მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, ამით შესაძლოა გარკვეულწილად ხაზი გაესვას ამ წესების მეორეხარისხოვნებას.

#### ვ. პარტიის საქმიანობის შეწყვეტა

*პარტიის საქმიანობის შეწყვეტა* მოწესრიგებულია პარტიის აკრძალვის სახით (35-ე მუხ.) ან პარტიის თვითლიკვიდაციის ან აგრეთვე მისი სხვა პარტიასთან შერწყმის სახით (37-ე მუხ.), თუმცა ქართულ სამართალში არ მოიძებნება რეგულაციები პარტიის აქტივობების უსიტყვო შეწყვეტასთან ან იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, რომლის დროსაც პარტია არ იწყებს საქმიანობას, მაშასადამე, როდესაც პარტია, როგორც ასეთი, საერთოდ არ (აღარ) ფუნქციონირებს.

#### ზ. საერთო შთაბეჭდილება

საერთო ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ: პარტიების შესახებ ქართული კანონი გარკვეულწილად გაუმართავია, ის ძალზე მაღალ მოთხოვნებს აყენებს პარტიის შექმნისთვის, ზოგ შემთხვევაში, ის ძალზე დეტალურია, თუმცა ის არასაკმარის რეგულაციებს შეიცავს შიდაპარტიული დემოკრატიის უზრუნველსაყოფად. რაც ეხება რეალურ პარტიულ ცხოვრებას, ამ კუთხით აღსანიშნავია კანონის აღსრულების დეფიციტი.

### III. პოლიტიკური პარტიების შესახებ ქართული კანონის კონსტიტუციურ-სამართლებრივი დებულებები

#### 1. პოლიტიკური პარტიების სამართლის მოწესრიგების სფეროები

პოლიტიკური პარტიების სამართლის ამოცანები ოთხ ერთმანეთისგან განსხვავებულ სფეროს მოიცავს, რომელთაგან თითოეულ სფეროს საკუთარი მიმართულება აქვს.

#### ა. თავისუფლება

პარტიები წარმოადგენს მოქალაქეთა დემოკრატიული გავლენის ინსტრუმენტებს სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე. ამის წინაპირობაა პარტიების თავისუფლება სახელმწიფო

გავლენისგან: სახელმწიფოზე გავლენა უნდა მოახდინონ პარტიებმა და არა პირიქით სახელმწიფოს უნდა შეეძლოს პარტიების მართვა. მაშასადამე, პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს პარტიების დაარსების, პარტიის წევრობის, პარტიების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების თავისუფლება. პარტიებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ საკუთარი სტრუქტურა ააგონ საკუთარი წარმოდგენების შესაბამისად, ჰქონდეთ განსაზღვრული პროგრამა, აირჩიონ საკუთარი პოლიტიკური სტრატეგია და თავად განსაზღვრონ საკუთარი საკადრო პოლიტიკა. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს სახელმწიფოს გავლენისგან თავისუფლად.

პოლიტიკური პარტიების სამართლის უპირველესი ამოცანა მდგომარეობს სახელმწიფოსგან თავისუფლების უზრუნველყოფაში. პარტიების სახელმწიფოსგან თავისუფლება წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპს.

### ბ. თანაბარი შესაძლებლობები

პარტიები ეჯიბრებიან ერთმანეთთან. დემოკრატია, როგორც კონკურენციის ღონისძიება მხოლოდ იმ შემთხვევაში ფუნქციონირებს, თუ სამართლიანია კონკურენცია. ამისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კონკურენციის მონაწილეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. ამ კუთხით პოლიტიკური პარტიების სამართალს აქვს კონკურენციის სამართლის ფუნქცია (ამასთან დაკ. იხ ზემოთ I.5.).

ამ ამოცანის შესრულებისას პოლიტიკური პარტიების სამართლის მიზანს წარმოადგენს პარტიებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება.

### გ. გამჭვირვალობა

პარტიის შექმნა არ წარმოადგენს თვითმიზანს, არამედ პარტია უნდა იყოს მოქალაქეების გავლენის ინსტრუმენტი პოლიტიკაზე, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება სახალხო სუვერენიტეტის რეალიზებას. აქედან გამომდინარე, მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, თუ რა ხდება სხვადასხვა პარტიაში. ამიტომ, პარტიების საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს გამჭვირვალობის მოთხოვნას. ეს, ერთი მხრივ, მოიცავს ფინანსურ მხარეს: საზოგადოებას უნდა შეეძლოს იმის ცოდნა, თუ საიდან იღებს პარტია ფინანსურ საშუალებებს და რა სახის დამოკიდებულებებს შეიძლება უკავშირდებოდეს ეს. თუმცა, აგრეთვე სხვა კუთხითაც, პარტიებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლებათ საკუთარი ამოცანების ჯეროვნად შესრულება, თუ გამჭვირვალე იქნება მათი პროგრამები, თუ საზოგადოებას ექნება ცოდნა მათ ხელმძღვანელ პირებთან და სხვადასხვა შიდა დაჯგუფებებს შორის ძალაუფლებების განაწილებასთან დაკავშირებით.

მაშასადამე, პოლიტიკური პარტიების სამართალმა აგრეთვე უნდა მოაწესრიგოს პარტიების ურთიერთობა მოქალაქეებთან და იზრუნოს ამის საჯაროობაზე.

### დ. შიდაპარტიული დემოკრატია

პარტიები არა მხოლოდ მათი ხელმძღვანელი პირების პოლიტიკური კარიერის ხელშეწყობის



საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, არამედ მათ უნდა უზრუნველყონ ამომრჩევლებისთვის და განსაკუთრებით მათი ყველა წევრისთვის ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობები. დემოკრატია უნდა იყოს არა მხოლოდ პარტიებს შორის კონკურენციის წესი, არამედ ის უნდა განსაზღვრავდეს *პარტიულ* ცხოვრებას. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიების სამართლის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს უზრუნველყოს *შიდაპარტიული დემოკრატია*. შესაბამისად, საჭიროა რეგულაციების მიღება ორგანოებთან, პროცედურებთან და განსაკუთრებით ცალკეული წევრის უფლებებთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ I.2.ე,დ). მსგავსი რეგულაციების საჭიროება დიდი ხანია ცნობილია. მაშასადამე, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რობერტ მიხელსის მიერ აღწერილი „ოლიგარქიის უდრეკი კანონის“ წინააღმდეგ ბრძოლასთან პარტიებში.

შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების სამართლის ამოცანაა მოაწესრიგოს ურთიერთობა პარტიის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მის წევრებს შორის.

## 2. საქართველოს კონსტიტუციის დებულებები პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით

კონსტიტუციური სახელმწიფოების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს განსხვავება კონსტიტუციასა და კანონებს, როგორც სხვადასხვა დონეებს შორის. კანონმდებელს შეუძლია კანონების მიღება და შეცვლა მიზანშეწონილობის ასპექტებისა და საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკური პროგრამის შესაბამისად - თუმცა ის ამ ქმედებებისას შეზღუდულია კონსტიტუციის მიერ დაწესებული ფარგლებით. მაშასადამე, კონსტიტუციური სამართლის უზენაესობა, ერთი მხრივ, ზღუდავს ჩვეულებრივი კანონმდებლის შესაძლებლობებს, ხოლო, მეორე მხრივ, კანონმდებლობა კონსტიტუციისგან იღებს სავალდებულოდ გასათვალისწინებელ დირექტივებს. კონსტიტუციის უპირატესი სტატუსის გამო სახელმწიფო წესწყობილების სავალდებულო შემადგენელი ელემენტები რეგულირდება კონსტიტუციის დონეზე. საქართველოს კონსტიტუციამ უზრუნველყოფის ეს მექანიზმი აირჩია აგრეთვე პარტიებისთვის.

### ა. პარტიების როლი და სტატუსი

კონსტიტუციის მე-3 მუხ. მე-4 ნაწ. პოლიტიკური პარტიებისთვის შეიცავს ცალკე დებულებას. პირველ წინადადებაში აღიარებული და უზრუნველყოფილია პარტიების საკვანძო მნიშვნელობა პოლიტიკური პროცესისთვის. მე-3 მუხ. მე-4 ნაწ. მე-2 წინ. პარტიებისთვის სავალდებულოდ აწესებს თავისუფლების, თანასწორობის, გამჭვირვალობისა და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინების მოთხოვნას. ამით საქართველოს კონსტიტუციას პოლიტიკური პარტიების სამართლის ძირითადი მოწესრიგების ოთხი სანიმუშო მოქმედების ძალის მქონე ამოცანა (იხ. ზემოთ III.1.) აჰყავს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ვალდებულების დონეზე. შესაბამისად, კანონმდებელი პარტიული სისტემის ფორმირებისთვის ექვემდებარება გასაგებ დირექტივებს. მართალია მას ყველა ამ ოთხი პრინციპის მოწესრიგების სფეროში თავისუფლად მოქმედების სივრცე აქვს, თუმცა ის

შეზღუდულია ამ ოთხი კონსტიტუციურ-სამართლებრივი დირექტივის ძირითადი ფარგლებით.

### ბ. თავისუფალი პარტიული საქმიანობის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლი განმეორებით უფრო დეტალურად ეხება პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას.

პირველ ნაწილში პოლიტიკური პარტიების თავისუფლება უზრუნველყოფილია, როგორც საქართველოს მოქალაქეების ინდივიდუალური უფლება. ეს აღსანიშნავია იმდენად, რამდენადაც ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილია არა მხოლოდ პარტიების, როგორც ასეთის როლი (რასაც ადგილი აქვს მე-3 მუხ. მე-4 ნაწილში), არამედ აქ დასახელებულია მოქალაქეები, როგორც პარტიულ-სამართლებრივი რეგულაციების მიმართების პუნქტი. მე-2 ნაწ. - ტრადიციულად - ზღუდავს პარტიის წევრობას იმ პირთა წრისთვის, რომლებიც მსახურობენ განსაზღვრულ სახელმწიფო სამსახურში.

მე-3 და მე-4 ნაწილები წარმოადგენს ეგრეთწოდებულ თავდაცვითი დემოკრატიის ელემენტებს. ეს ნაწილები პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას ზღუდავს იმ კუთხით, რომ პარტიებს არ ანიჭებს საქართველოში კონსტიტუციური წყობილების დამხობის შესაძლებლობას ან ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფასა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. პარტიული საქმიანობის აკრძალვა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას; აგრეთვე ესეც წარმოადგენს პარტიების თავისუფლების უზრუნველყოფისკენ გადადგმულ ნაბიჯს, ვინაიდან ამით გამოირიცხება სხვა ორგანოების შესაძლებლობა აკრძალონ რომელიმე პარტიის საქმიანობა.

### გ. არჩევნებში მონაწილეობა

პარტიების მიზანს წარმოადგენს პარლამენტში წარმომადგენლობის ყოლა. შესაბამისად, ერთ-ერთი მათი მთავარი საქმიანობა არჩევნებში მონაწილეობაა. ეს პირდაპირაა მოწესრიგებული საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხ. მე-5 ნაწილით. თუმცა არჩევნებში მონაწილეობისთვის საკმაოდ მაღალი მოთხოვნებია დაწესებული. 37-ე მუხ. მე-6 ნაწილი თანამიმდევრულად ადგენს, რომ მანდატების განაწილება ხდება პარტიების სიძლიერის შესაბამისად, ამომრჩეველთა ხმების მინიმუმ 5% პროცენტის მიღების შეზღუდვის დაწესებით და აკონკრეტებს აგრეთვე მანდატების განაწილების პროცედურებს.

### დ. პარტიები პარლამენტში

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხ. მე-3 ნაწილში აღიარებულია პარტიებისა და მათი წარმომადგენლების საქმიანობა პარლამენტში. პოლიტიკური საქმიანობის პარტიული ფორმა გამოხატულია პარლამენტის წევრების მიერ *ფრაქციების* შექმნის სახით. ამასთან, მე-2 წინადადების დანაწესით, რომლის მიხედვით ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ წევრებს უფლება აქვთ შექმნან მხოლოდ ერთი ფრაქცია, ხაზგასმულია საპარლამენტო მუშაობის მიმართება პარტიებზე.

## ე. საერთო სურათი

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ ხაზს უსვამს პარტიული საქმიანობის რამდენიმე ასპექტს. ეს აღსანიშნავია იმდენად, რამდენადაც კონსტიტუცია გაერთიანებების თავისუფლებით უზრუნველყოფს ყველა სხვა გაერთიანების საქმიანობასაც (22-ე მუხ.). ცალკე მუხლები ეძღვნება მხოლოდ ორგანიზაციის სპეციალურ სახეობას „პოლიტიკურ პარტიას“. ორგანიზაციებს შორის ცალკე გამოყოფა მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციის ხვედრია; ესაა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (მე-8 მუხ.) და პროფკავშირები (26-ე მუხ. მე-2 ნაწ.). ამასთან, ავტონომიის თავისუფლება გარანტირებულია აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (27-ე მუხ. მე-3 ნაწ.).

პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული კონსტიტუციური წესები, ერთად აღებული, საუკეთესო საფუძველს ქმნის პარტიული სისტემის ცალკე კანონით მოწესრიგებისთვის.

### 3. პოლიტიკური პარტიების სამართლის კონსტიტუციონალიზაცია

კონსტიტუციებში პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით მუხლების შეტანას საფუძვლად ედო ავტორიტარული პოლიტიკური სისტემების დაძლევის ძლიერი მოტივი. შესაბამისად, იტალიამ 1947 წელს, გერმანიამ 1949 წელს, საბერძნეთმა 1975 წელს და ესპანეთმა 1978 წელს კონსტიტუციაში შეიტანა პოლიტიკური პარტიების შესახებ ერთი ან რამდენიმე დანაწესი. ამ განვითარებას მხარი აუბა აგრეთვე კონსტიტუციური ტრადიციების მქონე ძველმა ქვეყნებმა, ისე რომ პარტიების შესახებ მუხლები უკვე წარმოადგენს თავისუფლების პრინციპებზე დაფუძნებული დემოკრატიული კონსტიტუციების სტანდარტულ შემადგენელ კომპონენტს. ევროპის 32 დემოკრატიული სახელმწიფოდან 28-ს უკვე აქვს კონსტიტუციაში ჩანაწერი პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით. წერილობითი ფორმის კონსტიტუციის არ არსებობის გამო ამ კუთხით გამონაკლისს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი და აგრეთვე ბელგიის, დანიის, ირლანდიისა და ნიდერლანდების კონსტიტუციები.

სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციების პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებულ მუხლებში წარმოდგენილია მოწესრიგების განსხვავებული მიდგომები პარტიების არსებით როლთან, პარტიების თავისუფლების უზრუნველყოფასთან, პარტიების თანასწორუფლებიანობასთან და შიდაპარტიულ დემოკრატიასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია აგრეთვე დებულებები პარტიების დაფინანსებასთან, თავსებადობის რეგულაციებთან და პარტიის საქმიანობის აკრძალვასთან დაკავშირებით<sup>2</sup>.

კონსტიტუციაში პარტიებთან დაკავშირებული დებულებების შეტანის სასიკეთოდ, ერთი მხრივ, მეტყველებს ამასობაში პარტიების საყოველთაოდ აღიარებული მნიშვნელობა

<sup>2</sup> ამასთან დაკ. იხ. *M. Morlok*, Parteienartikel der Verfassungen im Lichte der Textstufenanalyse, in: A. Blan-kenagel (გამომც.), *Den Verfassungsstaat nachdenken*, 2014, გვ. 135 (149 და მომდ. გვ-ბი).



თანამედროვე დემოკრატიისთვის<sup>3</sup>. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციაში პარტიებთან დაკავშირებულ დებულებებს აქვს აგრეთვე პარტიების სიმბოლური აღიარებისა და დაფასების მნიშვნელობა.

პარტიების შესახებ დებულებების კონსტიტუციურ რანგში მოწესრიგებას, კონკრეტული პრაქტიკული სარგებელი აქვს, იმ კუთხით, რომ პოლიტიკური პარტიების სამართალი ატარებს აგრეთვე კონკურენციის სამართლის ხასიათს (იხ. ზემოთ I.5.; III.1.ბ). პოლიტიკური პარტიების სამართლის დებულებებს (ისევე როგორც საარჩევნო სამართლის დებულებებს), მათი შინაარსის და მიხედვით გავლენა აქვს პარტიების ფარდობით შესაძლებლობებზე. თუმცა კონკურენციის სამართალმა მკაცრად უნდა უზრუნველყოს პარტიებისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა. თუ ერთ კონკურენტს მაგ. არსებულ საპარლამენტო უმრავლესობას შეუძლია შეცვალოს კონკურენციის პირობები, ეს წარმოშობს კონკურენციის პირობების ცალმხრივად შეცვლის სტრუქტურულ საფრთხეს. აქედან გამომდინარე, სასურველია პარტიების ფუნდამენტური გარანტიების, როგორცაა თავისუფლების, თანასწორობის, საჯაროობისა და შიდაპარტიული დემოკრატიის კონსტიტუციის დონეზე მოწესრიგება. ამან ხელი უნდა შეუშალოს მოქმედ საპარლამენტო უმრავლესობას არა მხოლოდ იმაში, რომ არ მოახდინოს პოლიტიკური პარტიების კანონმდებლობის ცალმხრივად ფორმირება, არამედ ხელი უნდა შეუშალოს ყველა მოქმედ წარმატებულ პარტიას იმაში, რომ არ შევიდნენ ერთმანეთთან კარტელურ გარიგებაში ახალი კონკურენტების წინააღმდეგ, პარტიულ-პოლიტიკური კონკურენციის კანონისმიერი გართულებებით.

„ბაზარზე შესვლის ბარიერების“ შეძლებისდაგვარად დაბლა დაწევა შედის ქმედითი კონკურენციის ინტერესებში, ვინაიდან უკვე მხოლოდ ახალი პარტიების გაჩენის შესაძლებლობა არსებულ პარტიებს უბიძგებს მოქმედებისკენ.

საბოლოოდ, საქმე ეხება იმას, რომ პარტიები, როგორც აგრეთვე ყველა სხვა მოთამაშე, დგანან საფრთხის წინაშე, რომ შეიძლება ცოტა გულუხვები იყვნენ იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელიც მათ ეხება, ეგრეთწოდებული საკუთარ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებებისას. ამის დაბალანსება შეიძლება კონსტიტუციის დონეზე თავისუფლებისა და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებზე მდგარი პარტიული კონკურენციის არსებითი გარანტიების განსაზღვრით.

ამით, ბუნებრივია, მოცემულია შესაძლებლობა, რომ ცვლილებები პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონში შესაძლოა გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც მათ გადაამოწმებს. ამ იდეების გათვალისწინებით განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ გამართული პარტიული სისტემის ფუძემდებლური სამართლებრივი გარანტიები პოზიტიურად არის მოწესრიგებული კონსტიტუციის დონეზე საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-4 ნაწ. მე-2 წინადადებით.

---

<sup>3</sup> იხ მხოლოდ "...political parties created democracy and...modern democracy is unthinkable save in terms of the parties...", *E. E. Schattschneider*, *Party Government*, 1942, გვ. 1.

#### IV. შენიშვნები და ცვლილებებთან დაკავშირებული რჩევები პოლიტიკური პარტიების შესახებ მოქმედ კანონთან დაკავშირებით

ქვემოთ წარმოდგენილი რჩევები პოლიტიკური პარტიების შესახებ მოქმედ კანონთან დაკავშირებით დაყოფილია დარგობრივ სფეროებად. ამასთან, ყოველთვის არ არის შესაძლებელი ამ სფეროებს შორის დაკვეთის თავიდან აცილება; მაგ. პარტიების წესდებებთან დაკავშირებული სავალდებულო დირექტივები შესაძლოა აგრეთვე ვიხილოთ შიდაპარტიული დემოკრატიის უზრუნველყოფის პუნქტში.

ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებები წარმოადგენს გარე დამკვირვებლის პერსპექტივიდან დანახულ საკითხებს და შესაბამის რჩევებს. ქართული პოლიტიკური ძალების გადასაწყვეტია, საკუთარი ქვეყნის ვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე და წარმოდგენილ რჩევებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება.

##### 1. კანონის სახელწოდება, ლეგალური დეფინიცია, პოლიტიკური პარტიების შექმნა და რეგისტრაცია

###### ა. კანონის სახელწოდება

მოქმედი კანონის სახელწოდებაა „საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“. ვფიქრობ უმჯობესი იქნებოდა ამ კანონისთვის პირდაპირ „კანონი პარტიების შესახებ/კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ“ დარქმევა, ვინაიდან ეს კანონი ეხება პარტიებს. ეს აგრეთვე შესაძლოა იყოს პარტიული სისტემის სასურველი გაძლიერების ერთგვარი სიმბოლური გამოხატულება. ამას შესაძლოა აგრეთვე დაუვკავშიროთ კანონიდან იმ ნორმების ამოღება, რომელიც არ ეხება პარტიებს, მაგ. 30<sup>1</sup> მუხ., რომლის მიხედვით სახელმწიფო დაფინანსება შეიძლება მიიღონ აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

###### ბ. საწყისი დებულებების თანამიმდევრობა

შესაძლოა ღირდეს იმაზე დაფიქრება, რომ მე-2 მუხ. ტექსტი, რომელიც ეხება პარტიების მნიშვნელობას მოექცეს კანონის დასაწყისში. ამასთან შესაძლოა მესამე მუხლის შინაარსი დაერთოს მე-2 მუხლს. აქ საჭიროა პარტიული საქმიანობის არა მხოლოდ ზოგადი ვალდებულების აღნიშვნა, არამედ აგრეთვე ფინანსების მიმოქცევის გამჭვირვალობის მოწესრიგება, რაც უფრო დაწვრილებით მოწესრიგებულია 25-ე და მომდევნო მუხლებში.

###### გ. ლეგალური დეფინიცია

კანონის არსებული რედაქციის პირველი მუხლი წარმოადგენს პოლიტიკური პარტიის ლეგალურ დეფინიციას. შეიძლებოდა ტერმინის ამ განმარტების უფრო განვრცობა და ხაზგასმა. განმსაზღვრელი კრიტერიუმი, რითაც პოლიტიკური პარტიები განსხვავდება სხვა პოლიტიკური გაერთიანებებისგან, არის სახელმწიფო არჩევნებში მონაწილეობა. საჭიროა ამის

დაფიქსირება პოლიტიკური პარტიების ტერმინის განმარტებაში, ისე რომ შინაარსი იყოს დაახლოებით შემდეგი: გაერთიანება მხოლოდ მაშინ იქნება აღიარებული პარტიად, თუ ის მონაწილეობას მიიღებს საკუთარი კანდიდატებით სახელწმიფოს წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებსა ან სახელმწიფო თანამდებობებთან დაკავშირებულ არჩევნებში. პარტიის შექმნის ეტაპისთვის ახლადდაარსებულ გაერთიანებას შეიძლება მიეცეს 4-დან 6-წლამდე ვადა, რომლის განმავლობაშიც მან მონაწილეობა უნდა მიიღოს არჩევნებში. არ იქნებოდა გონივრული და პირიქით პარტიების განვითარებისთვის საზიანოც კი, თუ პარტიებისთვის თავიდანვე სავალდებულო იქნებოდა არჩევნებში მონაწილეობა მიუხედავად მათი განუვითარებელი ორგანიზაციული სტრუქტურისა

#### დ. პარტიის სტატუსის დაკარგვა არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობის გამო

თუ კანონში პარტიისთვის სავალდებულო ნიშნად ჩაიწერება არჩევნებში მონაწილეობა, მაშინ უნდა განისაზღვროს, რომ თუ პარტია ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, ეს გამოიწვევს პარტიის სტატუსის დაკარგვას. ამ შემთხვევაშიც შესაძლოა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიისთვის განისაზღვროს შექმნიდან 4 ან 6 წლიანი ვადა.

კანონის მოქმედ რედაქციაში პარტიის საქმიანობის შეწყვეტა მოწესრიგებულია 35-38-ე მუხლებში. ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლოა საქმიანობის შეწყვეტის ყველა საფუძველი თავმოყრილი იყოს ერთ ნაწილში. სამართლებრივ-ტექნიკური თვალსაზრისით აგრეთვე წარმომადგენია პარტიის საქმიანობის შეწყვეტის დებულებების მიბმა ლეგალურ დეფინიციაზე.

პარტიის სამართლებრივ იდენტიფიკაციაში შედის აგრეთვე მისი არაკომერციული ხასიათი. ამის გათვალისწინება შეიძლება ცალკე დებულებით, როგორც ეს მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლშია, და აგრეთვე ამასთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის დებულებების გავრცელებით, რამდენადაც ეს დებულებები არ ეწინააღმდეგება პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონს. რაც ეხება პარტიების არაკომერციულ ხასიათს, ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია პირდაპირ აღიარება, რომ პარტიებს უფლება აქვთ განახორციელონ მცირე კომერციული აქტივობები - როგორცაა მაგ. ხელნაწერების, მაისურების გაყიდვა და ა.შ. იხ. 25-ე მუხ. პირველი ნაწ. „დ“ ქვეპუნქტი - ისე რომ ეს გავლენას არ ახდენს პარტიის ბუნებაზე.

#### ე. პარტიის შექმნა

პარტიის შექმნასთან დაკავშირებით კანონის მოქმედი რედაქციის წესები ძალზე მაღალ მოთხოვნებს აწესებს. ეს განსაკუთრებით ეხება პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე 300 წევრის გამოცხადებას, რაც ძალზე მაღალი რიცხვია. რეალურად კი ისე მოჩანს, რომ პოლიტიკურ მოძრაობას ქმნის აქტივისტების ძალზე დაბალი რიცხვი, რომელიც, როგორც წესი, თანდათანობით იქცევა პარტიად, რა ფორმითაც შემდგომ შესაძლებელია მისი დარეგისტრირება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია პარტიის შექმნისთვის საჭირო წევრების რაოდენობის მნიშვნელოვნად დაწევა.

ქართული სამართალი პარტიის წარმოშობას ორ ნაწილად ყოფს, კერძოდ, პარტიის შექმნა და რეგისტრაცია. როგორც ჩანს პარტიისთვის სპეციფიკური უფლებების მინიჭება ხდება მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ (თუ ეს ასე არ არის ნაგულისხმევი, მაშინ ეს პირდაპირ უნდა ეწეროს კანონში). თუ პარტიის სამართლებრივი სტატუსი უკავშირდება პარტიის რეგისტრაციას, ეს პირდაპირ უნდა იქნეს გათვალისწინებული კანონით.

შესაბამისად, რეგისტრაციამდე სახეზეა „შექმნის სტადიაზე მყოფი პარტიის“ ფიგურა, სამართლებრივი მოვლენა, რომელი აგრეთვე გვხვდება ეკონომიკის სამართალში. რეგისტრაციის წინაპირობების კუთხით პარტიის შექმნასა და ამასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებით შესაძლებელია მეტი თავისუფლების მინიჭება. თუმცა სავალდებულოდ უნდა დაწესდეს, რომ პარტიის შექმნისთვის აუცილებელია სპეციალური ყრილობა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს, როგორც ეს მე-12 მუხ. დასახელებული და აგრეთვე პარტიის სახელწოდების განსაზღვრა (მე-13 მუხ.).

### ვ. პარტიის რეგისტრაცია

აგრეთვე ძალიან მკაცრია მოქმედ რედაქციაში არსებული წინაპირობები პარტიის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. საჭიროა სავალდებულოდ განსაზღვრული 1.000 წევრისგან შემდგარი სიის (22-ე მუხ. მე-2 ნაწ. „გ“ ქვეპ.) შემცირება. პარტიების შექმნა და აღიარება არ უნდა იყოს ზედმეტად გართულებული. იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული, რომ სახელმწიფო დაფინანსებით უსამართლოდ არ ისარგებლონ სხვა პარტიებმაც, ეს დაფინანსება უნდა დაუკავშირდეს არჩევნებში მიღწეულ წარმატებას, როგორც ამას ითვალისწინებს 30-ე მუხლის დანაწესი.

22-ე მუხ. მე-2 ნაწ. „გ“ ქვეპ. დანაწესი ეჭვს იწვევს აგრეთვე მონაცემთა დაცვისა (იხ. კონსტიტუციის მე-15 და განსკ. 18-ე მუხ. მე-2 და მე-3 ნაწილები და პარტიული საქმიანობის თავისუფლებასთან დაკ. 23-ე მუხ. პირველი ნაწ.) და პარტიების სახელმწიფო ჩარევისგან თავისუფლების კუთხით. არ არის აუცილებელი, რომ ხელისუფლებამ იცოდეს პარტიის წევრების სახელები და გვარები. განსაკუთრებით ავტორიტარული წარსულის მქონე სახელმწიფოების შემთხვევაში შესაძლოა არსებობდეს საფრთხე, რომ (ოპოზიციურ) პოლიტიკურ მისწრაფებებს შეიძლება მოჰყვეს არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ან სულაც დევნა. ეს არ გამოირიცხება აგრეთვე მომავალშიც. აქედან გამომდინარე, უარი უნდა ითქვას პრაქტიკაზე, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისთვის პარტიის წევრების იდენტიფიკაციის შემცველი სიების გადაცემას. თუ სავალდებულოდ დარჩება პარტიისთვის წევრების მინიმალური რაოდენობის არსებობა, მაშინ საკმარისი უნდა იყოს ნოტარიალური დასტური, რომ მართლაც სახეზეა წევრების შესაბამისი ოდენობა. ეს მიდგომა პარტიის წევრთა სახელების და გვარების გადაცემასთან დაკავშირებით მოქმედებს აგრეთვე 32-ე მუხ. პირველი ნაწ. მე-3 წინადადების მიმართ, რომლის მიხედვით სახელმწიფო აუდიტი სამსახურს უნდა მიეწოდოს იმ მოქალაქეთა ვინაობა, რომლებიც იხდიან საწევროს. ეს გასათვალისწინებელია აგრეთვე იმის ფონზე, რომ პარტიების დაფინანსება უნდა მოდიოდეს

საზოგადოებისგან, რადგანაც პარტიები, რაც შეიძლება ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი სახელმწიფო დაფინანსებაზე.

კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს, რომ პარტიის რეგისტრაციისთვის სავალდებულოა მთელი რიგი დოკუმენტაციის, განსაკუთრებით, პარტიის წესდების წარმოდგენა. პარტიის წესდება, ისევე როგორც პარტიის სახელწოდება და პროგრამა და აგრეთვე გამგეობის წევრების სახელები წარმოადგენს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. აქედან გამომდინარე, პარტიის რეგისტრაცია უნდა დაუკავშირდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ვალდებულებას, რომ გამოაქვეყნოს პარტიის მსგავსი სავალდებულო რეკვიზიტები. 22-ე მუხ. 1<sup>1</sup> ნაწ. მსგავს ვალდებულებას, ყოველ შემთხვევაში, პირდაპირ არ ითვალისწინებს. საჯაროობის მსგავს ვალდებულებას აწესებს კონსტიტუციის მე-3 მუხ. მე-4 ნაწ. მე-2 წინ. პარტიების გამჭვირვალობის მოთხოვნის სახით, რომელიც შესაბამისობაშია არსებული რედაქციის მე-3 მუხ. „ე“ ქვეპუნქტთან.

### **ზ. რეგისტრაციის შედეგები და უარი რეგისტრაციაზე**

არსებული რედაქციის 23-ე მუხ. მოწესრიგებულია რეგისტრაციის ტექნიკურად აღსრულების საკითხი. ეს იქნებოდა ის შესატყვისი ადგილი, სადაც შესაძლებელია პარტიის დოკუმენტაციის გამოქვეყნების ვალდებულების ჩაწერა.

ზედმეტად მიმაჩნია 23-ე მუხ. მე-2 ნაწ., ვინაიდან ეს თავისთავად ცხადია. თუ ადგილი ექნება რეგისტრაციაზე უარის თქმას საჭირო დოკუმენტაციის არ წარმოდგენლობის გამო, პარტიას შეუძლია აღმოფხვრას ხარვეზი, როგორც ამას ითვალისწინებს 23-ე მუხ. მე-7 ნაწ. სადავო შემთხვევების ნორმა, არსებულ რედაქციაში 23-ე მუხ. მე-6 ნაწ. უნდა მოსდევდეს ხარვეზის აღმოფხვრის დანაწესს. ვინაიდან არ ვიცნობ ქართულ საპროცესო კანონმდებლობას, მინდა დასაზუსტებლად ვიკითხო: გარკვეულია, რომელმაც სასამართლომ უნდა განიხილოს დავა?

### **თ. შეუთავსებლობა განსაზღვრულ სახელმწიფო თანამდებობებთან**

არ მიმაჩნია მიზანშეწონილად მე-10 მუხლში მოწესრიგებული შეუთავსებლობის დანაწესი. ეს, ერთი მხრივ, არასწორად აფასებს იმას, რომ თითქოსდა მოქალაქის პოლიტიკური მრწამსი არ ქრება პარტიის წევრობასთან ერთად, მეორე მხრივ, პარტიის წევრობა ამით ერთგვარ მცირე უწყობასთან ასოცირდება, რისგანაც სახელმწიფო თანამდებობის განმახორციელებელმა პირმა შორს უნდა დაიჭიროს თავი. მსგავსი დებულება გავლენას ახდენს პოლიტიკური პარტიების არსებობის საჭიროების აღიარებაზე. ეს წარმოადგენს ავტორიტარული სახელმწიფო წარმოდგენის გადმონაშთს. მსგავს დანაწესს ვხვდებით საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხ. მე-4 ნაწ.. ამასთან თავისთავად ცხადია, რომ თანამდებობის პირს ამ ფუნქციით არ აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, კერძო მოქალაქეების შემთხვევაში ეს შესაძლოა სხვაგვარად დავინახოთ. ვინაიდან ეს დანაწესი აგრეთვე გვხვდება საქართველოს კონსტიტუციაში (23-ე მუხ. მე-2 ნაწ.), ვშიშობ მას ვერ შევხებით პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის რეფორმირებისას.



## 2. პარტიათა წესდებების მიმართ მოთხოვნები

გამართული პარტიული სისტემა საჭიროებს იმ მინიმალური წესების არსებობას, რომელსაც დაემორჩილებიან პარტიები. მხოლოდ ასეა შესაძლებელი გონივრულობის, უწყვეტობის და აგრეთვე შიდაპარტიული ცხოვრების კონტროლისა და დემოკრატიული ხასიათის უზრუნველყოფა. საზოგადოებას აზრის შესაქმნელად ესაჭიროება ინფორმაცია სხვადასხვა პარტიასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოქმედი რედაქციის მე-13 მუხ. პარტიის წესდებისთვის აწესებს მინიმალურ მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ის. მოთხოვნათა ეს ნუსხა შესაძლებელია განივრცოს ამა თუ იმ პუნქტით.

### ა. პროგრამის ქონის ვალდებულება

არსებული სამართლებრივი მდგომარეობა მოქმედი რედაქციის მე-13 მუხ. პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში ითვალისწინებს, რომ წესდებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პარტიის მიზნები და მათი მიღწევის მეთოდები. სასურველია იქნებოდა უფრო მეტის მოთხოვნა, ვიდრე მხოლოდ ეს ძალზე აბსტრაქტული რეკვიზიტებია: კერძოდ, დაკონკრეტებული პროგრამის. ამის წესდებაში გაწერა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან პროგრამები შესაძლოა უფრო სწრაფად შეიცვალოს, ვიდრე წესდებით მოწესრიგებული ძირითადი ორგანიზაციული წესები. თუმცა კანონში შესაძლებელია გათვალისწინება, რომ პარტიებს ჰქონდეთ არა მხოლოდ მინიმალური შინაარსის მქონე განსაზღვრული წესდებები, არამედ, გარდა ამისა, შეიმუშაონ და დაამტკიცონ პროგრამა, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს. მიზანშეწონილი იქნებოდა პარტიის რეგისტრაციისთვის პროგრამის არსებობის ვალდებულება.

### ბ. ძირითადი ორგანიზაციული სტრუქტურები

წესდება უნდა შეიცავდეს პარტიის არა მხოლოდ არსებით ორგანოებს, არამედ აგრეთვე ძირითად ორგანიზაციულ სტრუქტურებს, მაგ. თუ რომელი რეგიონალური სტრუქტურული ქვედანაყოფები არსებობს და შეიძლება არსებობდეს. ეს შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს არსებული რედაქციის 21-ე მუხლთან.

### გ. წევრების თავისუფალი მიღება პარტიაში

პარტიები სარგებლობენ პოლიტიკური ვექტორის თავისუფლად არჩევის უფლებით. მათ უფლება აქვთ თავად განსაზღვრონ საკუთარი მსოფლმხედველობით-პროგრამული მიმართულება და ამის გათვალისწინებით აირჩიონ წევრები. აქედან გამომდინარე, სწორია და უნდა შენარჩუნდეს წევრების მიღების თავისუფლება, როგორც ეს მე-15 მუხ. პირველი ნაწ. პირველ წინადადებაშია მოწესრიგებული, თუმცა მოსაფიქრებელია, რამდენად აუცილებელია პარტიაში შემთხვევით მოხვედრის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად წევრობის განაცხადზე უარის შემთხვევაში, ამ უარის დასაბუთება, რაც მე-2 წინ. შესაბამისად აქამდე სავალდებულო არ არის. აგრეთვე მოსაფიქრებელია, ხომ არ უნდა მოხდეს გაწევრიანების შეზღუდვის აკრძალვით იმის უზრუნველყოფა, რომ პარტიების კარი ზოგადად გახსნილი იყოს

ახალი წევრების მისაღებად.

#### დ. დისციპლინური ღონისძიებების გათვალისწინება

პარტიის წესდება უდნა შეიცავდეს რეგულაციებს პარტიის წევრების წინააღმდეგ დისციპლინურ ღონისძიებებთან დაკავშირებით. არსებული რედაქციაში ეს ორ სხვადასხვა ადგილას არის გამოხატული, კერძოდ მე-13 მუხ. პირველი ნაწ. დ ქვეპუნქტში და მე-15 მუხ. მე-3 და მე-4 ნაწილებში. სასურველია ამ დებულებების ერთმანეთთან დაკავშირება.

მოქმედი წევრობის დაცვა წარმოადგენს გადაწყვეტილების შიდაპარტიულად გასაჩივრებისა და შიდაპარტიული კონკურენციის შესაძლებლობის არსებით წინაპირობას. ვისაც სურს შეეწინააღმდეგოს მოქმედ ხელმძღვანელობას ან პარტიის აქტუალურ პოლიტიკურ ვექტორს - გასაჩივრების საშუალების არსებობა წარმოადგენს დემოკრატიის არსებით ელემენტს - ამის გამო ის არ უნდა უფრო ხოლმე პარტიის წევრობის შეწყვეტას. დისციპლინური ღონისძიებების წინაპირობებისა და პროცედურების წესდებაში გაწერის გარდა ეს უნდა აისახოს *კანონშიც* (ამასთან დაკ. იხ ქვემოთ III.). მსგავსი გარანტიის მიზნის მისაღწევად პარტიებს უნდა დაევალოთ წესდებაში შიდაპარტიული არბიტრაჟის (მედიაციის) სავალდებულო ორგანოდ გათვალისწინება.

#### ე. შიდაპარტიული რეფერენდუმის ჩატარების შესაძლებლობა

მე-17 მუხ. გადაწყვეტილების მიღების არსებით ორგანოდ განიხილავს პარტიის ყრილობას, მათ შორის, პარტიის წევრთა საერთო კრების ფორმით. გარდა ამისა, შესაძლებელია დაფიქრება იმაზე, რომ წარმომადგენლობითი პარტიის ყრილობის ნაცვლად, წევრთა ძირითად ნაწილს, რომელიც არ წარმოადგენს ხელმძღვანელობით რგოლს შეეძლოს განსაზღვრულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება წერილობითი პროცედურების ფარგლებში. რამდენად მოხდება ამ შესაძლებლობის მინიჭება, რა წინაპირობების გათვალისწინებით უნდა ჩატარდეს ყრილობის გარეშე გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, ეს ყველაფერი უნდა მოწესრიგდეს წესდებით. ამის წინაპირობაა წევრთა სიების არსებობა.

#### ვ. პარტიის ცალმხრივად ფორმირების შესაძლებლობები

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის მე-11 მუხ. განსაზღვრავს, რომ პარტიის წევრობისთვის არ შეიძლება მნიშვნელობა მიენიჭოს რასას, კანის ფერს, ენას, სქესს, რელიგიას, ეროვნულ ან ეთნიკურ კუთვნილებას და სხვა ნიშნებს. ამის უკან დგას დისკრიმინაციის აკრძალვის ქების ღირსი იდეა. თუმცაღა: პარტიებს აქვთ უფლება იყვნენ პარტიულები, ცალმხრივები, და გააჩნდეთ განსაზღვრული ინტერესები. მაგ. შეიძლება იმის დაშვება, რომ შეიქმნას ფემინისტური პარტია, რომელიც წევრებად აღიარებს მხოლოდ ქალებს. აქედან გამომდინარე, მოსაფიქრებელია, რომ მსგავსი შესაძლებლობა - პროგრამიდან გამომდინარე - გათვალისწინებულ იქნეს წესდებაში, თანაც პირდაპირ. ეს აგრეთვე კავშირშია მე-6 მუხლის დანაწესთან, რომლის მიხედვით დაუშვებელია პარტიის შექმნა რეგიონული ნიშნით. ამ შემთხვევაში უნდა დავფიქრდეთ რეგიონული პარტიის შექმნის, პრინციპში,

ლეგიტიმურ შესაძლებლობაზე, იმისთვის, რომ მაგ. მსგავსმა პარტიამ შეძლოს ქვეყნის ნაწილის სპეციალური ინტერესების დაცვა. ბუნებრივია, ამის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ინტერესთა ურთიერთ შეფარდების პირობებში, ვინაიდან, სასწორის მეორე მხარესაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ინტერესი. საერთო ჯამში მსგავსი სახის გადაწყვეტილება წარმოადგენს პოლიტიკური ნების ფორმირების საგანს.

### 3. შიდაპარტიული დემოკრატიის უზრუნველყოფა

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პარტიულ სისტემაზე დაფუძნებული ფუნქციონირებადი დემოკრატია საჭიროებს შიდაპარტიული პროცესის დემოკრატიული ნიმუშის საფუძველზე ჩამოყალიბებას (იხ. ზემოთ III.1 დ). შიდაპარტიული დემოკრატია ზედმეტ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული: ის მოითხოვს დამატებით დროს და შეიძლება გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს ხელმძღვანელი პირების მიერ მიზნების მარტივად განხორციელება. თუმცა ის წევრებს უბიძგებს თანამონაწილეობისკენ, ამდიდრებს პარტიულ ცხოვრებას, ამძაფრებს პარტიის აღქმის უნარს მოქალაქეთა ინტერესებისა და რწმენის მიმართ. ვინაიდან სახეზეა გარკვეული დეფიციტები შიდაპარტიულ ცხოვრებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია თუ პარტიებს დაუწესდებათ განსაზღვრული კანონისმიერი დირექტივები, იმისთვის, რომ დემოკრატიულად წარიმართოს შიდაპარტიული პოლიტიკური პროცესი.

#### ა. თანაბარი ხმის უფლება

დემოკრატიის და აგრეთვე შიდაპარტიული დემოკრატიის არსებით მახასიათებელს წარმოადგენს თანასწორუფლებიანობა. აქედან გამომდინარე, კანონი ყველა წევრისთვის უნდა ითვალისწინებდეს თანაბარი ხმის უფლებას. ამის მოწესრიგების ადგილი შეიძლება იყოს მოქმედი რედაქციის მე-17 მუხ. მე-2 ნაწ. თანაბარი ხმის უფლება წესით ისედაც თავისთავად ცხადი უნდა იყოს, თუმცაღა ამის პირდაპირ მოწესრიგებამ შესაძლებელია პრევენციულად იმოქმედოს მაგ. პარლამენტის წევრებისთვის სპეციალური ხმის უფლების მინიჭების თავიდან აცილების კუთხით.

#### ბ. პარტიების ყრილობების ჩატარების ინტენსიურობა

პარტიული ცხოვრება განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს პარტიის კრებებზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა მსგავსი კრებების სისტემატურად ჩატარება. მე-17 მუხ. პირველი ნაწილით გათვალისწინებული 4 წლიანი მინიმალური ვადა ძალზე ხანგრძლივია. მიმაჩნია, რომ გასათვალისწინებელია უფრო მოკლე ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 2 წელზე მეტი.

იმისთვის, რომ პარტიის ყრილობა არ იქცეს მხოლოდ პარტიის გამგეობის ინსტრუმენტად, პარტიებს უნდა დაევალოთ, რომ წესდებებში გაითვალისწინონ აგრეთვე პარტიის წევრების მიერ ყრილობის მოწვევის შესაძლებლობა. წევრების განსაზღვრულ რაოდენობას, კვორუმს უნდა შეეძლოს პარტიის ყრილობის მოწვევა. როგორც უკვე აღინიშნა კანონი პარტიებისთვის უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებების (წერილობითი პროცედურის ფარგლებში) მიღების



შესაძლებლობას (იხ. აქვე 2. ე), მაშასადამე, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს არა მხოლოდ პარტიის ყრილობაზე, როგორც ეს არსებული კანონის მე-17 მუხ. მე-5 ნაწილითაა გათვალისწინებული.

### გ. პარტიის წევრთა უფლებები

პარტიული ცხოვრების აქტიურობა და დემოკრატიული ხასიათი არსებითად არის დამოკიდებული წევრების კონკრეტულ უფლებებზე. გარდა მე-17 მუხ. მე-2 ნაწ. მოწესრიგებული ყრილობაში მონაწილეობის მიღების უფლებისა, შეიძლება დაფიქრება ინფორმაციის უფლებებზე, უპირველეს ყოვლისა კი აგრეთვე შუამდგომლობის დაყენების უფლებებზე, ერთი მხრივ, განსაზღვრული ორგანოების მოწვევასთან დაკავშირებით, როგორც ეს აქვე „ბ“ ქვეპუნქტში იქნა აღნიშნული პარტიის ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, უკვე პარტიის ყრილობაზე შუამდგომლობის დაყენების უფლებასთან დაკავშირებით განსაზღვრული დარგობრივი საკითხების განხილვის თაობაზე. კონკრეტული საკითხის განხილვის ეს ვალდებულება გონივრული იქნება დავუკავშიროთ პარტიის წევრთა იმ მინიმალურ საჭირო რაოდენობას, რაც წესდებით უნდა მოწესრიგდეს. ანალოგიური მოქმედებს შიდაპარტიული არჩევნების კანდიდატებთან დაკავშირებით, რაც აგრეთვე უნდა განისაზღვროს წესდებაში.

### დ. ფარული არჩევნები

აუცილებელია შიდაპარტიული ნების გამოვლენის პროცესის თავისუფლების უზრუნველყოფა, ყოველ შემთხვევაში, არჩევნებისას, ნების გამოვლენის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულებით. განსაკუთრებით, საკადრო საკითხებში გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს პიროვნული მტრული განწყობა, ანგარიშის გაწევა, დანაპირები ჯილდო ან სანქციის შემცველი მუქარა. აქედან გამომდინარე, შიდაპარტიული არჩევნების საიდუმლოება კანონით უნდა იქნეს მოწესრიგებული.

### ე. მოწვევის ფორმალობების წესდებაში მოწესრიგების აუცილებლობა

შეიძლება აგრეთვე იმის გათვალისწინება, რომ წესდებები შეიცავდეს წესებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმალობები უნდა იქნეს გათვალისწინებული პარტიის ორგანოების სხდომებზე წევრების მოწვევასთან დაკავშირებით. მინიმუმ აუცილებელია მოწვევა განხორციელდეს განსაზღვრული ვადის დაცვით და აგრეთვე მიეთითოს ყრილობაზე განსახილველი ის საკითხები, რომელთან დაკავშირებითაც უნდა გაიმართოს ყრილობა. ამგვარად თავიდან ავიცილებთ ორგანოების მოულოდნელ სხდომებს, ან სულაც იმ საიდუმლო სხდომებს, რომელზეც არ იქნებიან დაშვებული პარტიის განსაზღვრული წევრები.

კანონი მე-18 მუხ. პირველ ნაწილში პარტიის გამგეობისთვის ითვალისწინებს, რომ გამგეობის არჩევა ხდება წესდებით დადგენილი ვადით. სასურველია, რომ გამგეობის უფლებამოსილების - უფრო მოკლე - ვადა დაადგინოს კანონმა. რამდენადაც პარტია კმაყოფილი დარჩება გამგეობის წევრების მუშაობით, არაფერი უდგას წინ მათ ხელმეორედ არჩევას. გამგეობის

უფლებამოსილების უფრო მოკლე ვადით განსაზღვრით, რაც შეიძლება იყოს მაგ. 2 წელი, თავიდან ავიცილებთ პარტიის ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებით დისკუსიის პროცესის რამდენიმე წლით გადავადებას.

### ვ. სახელმწიფო არჩევნებისთვის კანდიდატების წამოყენების დარეგულირება

შიდაპარტიული დემოკრატიის საკვანძო საკითხს წარმოადგენს პარტიის კანდიდატების განსაზღვრა სახელმწიფო დონეზე გასამართი არჩევნებისთვის, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს. აგრეთვე საერთაშორისო დონეზე ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, რომ გამგეობა, ან სულაც ერთი პირი განსაზღვრავს კანდიდატების ვინაობას, ძირს უთხრის შიდაპარტიულ დემოკრატიას. აქედან გამომდინარე, კანონი უნდა შეიცავდეს გამჭვირვალე წესებს ამ კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებით. გარკვეული რაოდენობის წევრების დემოკრატიულად ჩართვა ამ პროცესში უზრუნველყოფს, რომ პარტიებმა გაითვალისწინონ სხვადასხვა ინტერესები შიდაპარტიული ბალანსის დასაცავად. წევრების ძირითადი ნაწილის დემოკრატიული ჩართულობა მსგავს გადაწყვეტილებებში აიძულებს პარტიებს ანგარიში გაუწიონ სხვადასხვა ინტერესებს შიდაპარტიული ბალანსის დაცვის მიზნით. მსგავსი ორიენტაცია წევრების ძირითად ნაწილზე ამაღლებს პარტიის აღქმადობის უნარს მოსახლეობის მოთხოვნილებების მიმართ.

### ზ. პარტიის წევრობის შეწყვეტის მოწესრიგება

წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებული რეგულაციები კანონით უნდა იყოს დადგენილი (იხ. ზემოთ 2. დ). წევრების დაცვა აუცილებელია და ვერ იქნება პარტიების გემოვნების შესაბამისად მოწესრიგების საგანი პარტიის წესდებებში. ამასთანავე, კანონი უნდა უთითებდეს წევრობის შეწყვეტის შესაძლებელ საფუძვლებს და ეს ჩამონათვალი ამომწურავი უნდა იყოს; ამასთან, შესაძლებელია გენერალური დათქმის გამოყენებაც; მეორე მხრივ, პროცედურულად უნდა იქნეს მოწესრიგებული დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება, როგორცაა მაგ. წევრობის შეწყვეტა. ის შეფასებები, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით და მათგან მომდინარე გადაწყვეტილების თავისუფლება დაცული უნდა იყოს პროცედურული წესებით თვითნებობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან. ამას ემსახურება წესდებით გათვალისწინებული პროცედურები, რომლის არსებით შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს დამოუკიდებელი შიდაპარტიული სასამართლო. პარტიის წევრობის შეწყვეტა არ უნდა იყოს აღმასრულებელი ორგანოს ხელში!

მსგავსი სახის შიდაპარტიული სასამართლო კანონით უნდა იყოს მოწესრიგებული. ამავედროულად გასათვალისწინებელია, რომ ამ სასამართლოს წევრები პარალელურად არ უნდა იყვნენ პარტიის გამგეობის წევრები, ან არ უნდა იკავებდნენ სხვა მნიშვნელოვან თანამდებობებს პარტიაში. სასურველია აგრეთვე მეორე ინსტანციის არსებობა. გარდა ამისა, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ შიდაპარტიული სასამართლოს ბოლო ინსტანციის გადაწყვეტილება დაექვემდებაროს გასაჩივრებას საერთო სასამართლო წესით. მსგავს შემთხვევაში საჩივრის განმხილველი სასამართლო უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმის შემოწმებით, იყო თუ არა

სახეზე წევრობის შეწყვეტის სათანადო ფაქტობრივი საფუძველი და ადგილი ჰქონდა თუ არა სავალდებულო პროცედურების დაცვას.

#### 4. პარტიების დაფინანსების წესები

##### ა. პარტიების ფინანსების პრობლემა

პოლიტიკური პარტიების სამართლის საკვანძო ამოცანას წარმოადგენს პარტიის ფინანსების მოწესრიგება, რამაც უნდა უზრუნველყოს შეძლებისდაგვარად თანაბარი შესაძლებლობები, როგორც პარტიებისთვის აგრეთვე პოლიტიკურად აქტიური და დაინტერესებული მოქალაქეებისთვის - მიუხედავად იმისა, თუ რა ფინანსური საშუალებები გააჩნიათ მათ. პოლიტიკური ძალაუფლება უნდა განაწილდეს ხმის მიცემის მეშვეობით და ამაზე გავლენა არ უნდა იქონიოს მატერიალურმა მხარემ. პარტიების ფინანსებთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა ამავდროულად უნდა აღკვეთოს კორუფცია სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებისას.

ამ მიზნების მისაღწევად არსებობს სხვადასხვა ინსტრუმენტი: პარტიებისთვის კერძო დაფინანსების შეზღუდვა, მსგავსი დაფინანსების გასაჯაროების ვალდებულება, პარტიების ხარჯებისთვის ზედა ზღვრის დაწესება, და ბოლოს, პარტიების სახელმწიფო დაფინანსება.

##### ბ. პარტიების კერძო დაფინანსება

პარტიებისთვის, როგორც საზოგადოებრივი გაერთიანებებისთვის საწევროები და შემოწირულობები წარმოადგენს პირველად დაფინანსების წყაროს.

აა. ის, რომ წევრები იხდიან საწევროს, როგორც წესი, ბუნებრივი მოვლენა უნდა იყოს კერძო გაერთიანებებისთვის, მაშასადამე, აგრეთვე პარტიებისთვის. ეს როგორც ასეთი პრობლემას არ წარმოადგენს. ვინც ახორციელებს აქტივობებს პარტიისთვის და პარტიის შიგნით, მისგან უნდა მოველოდოთ, რომ ის გადაიხდის საწევროს. იმისთვის, რომ პარტიებს მოვთხოვოთ, რომ მოითხოვონ საწევროები, საჭიროა მათთვის სავალდებულოდ დადგენა, რომ აწარმოონ წევრების რეესტრი. ეს, დღემდე, როგორც ჩანს, არასრულყოფილად და ხარვეზებით ხორციელდება.

გარდა ამისა, შესაძლებელია მოფიქრება, რომ დავავალდებულოთ პარტიები დააწესონ საწევროები. ბუნებრივია საწევრო, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება იყოს ძალზე მცირე თანხა, რომელიც, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება ნულსაც გაუტოლდეს. თუმცა საწევროს გადახდის ვალდებულება აძლიერებს პარტიის წევრობის ცნობიერებას და შესაძლოა გამოიწვიოს წევრების გააქტიურება პარტიაში: ის ვინც იხდის, უჩნდება მონაწილეობის მიღების სურვილი. ჯამში, საწევროებს შეუძლია გააძლიეროს პარტიების ფინანსური სიმტკიცე და ამით წვლილი შეიტანოს მათ გამძლიერებაში. იმისთვის, რომ მოხდეს წევრების წახალისება გადაიხადონ საწევროები, შეიძლება საწევროებისთვის - შეზღუდული ოდენობით - დაწესდეს საგადასახადო შეღავათები.

საწევროების გადახდას შეიძლება აფერხებდეს მოქმედ რედაქციაში გათვალისწინებული იმ

წევრების საიდენტიფიკაციო მონაცემების დასახელების აუცილებლობა, რომლებიც იხდიან საწევროებს, იხ. 32-ე მუხ. პირველი ნაწილის მე-3 წინადადება. ეს ჩანაწერი უნდა გაუქმდეს ყველა შემთხვევაში, მათ შორის, ზემოთ 1. ვ პუნქტში დასახელებული საფუძვლებიდან გამომდინარე.

ბბ. *შემოწირულობის* ცნება მოწესრიგებულია 25-ე მუხ. მ-2 ნაწ. არსებული რედაქცია შეიძლება ენობრივად გამარტივდეს „გ“ ქვეპუნქტში დასახელებული შეღავათიანი კრედიტის უბრალოდ კრედიტად მითითებით, ვინაიდან მოგვიანებით, დარჩენილ ტექსტში ხაზგასმით არის მითითება საბაზრო ღირებულების ქვედა ზღვარს მიღმა ფასებზე.

შემოწირულობის ცნებისგან გამოირიცხება 25-ე მუხ. მე-2 ნაწ. „გ“ ქვეპუნქტში მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაო. ეს ჩანაწერი ბუნდოვანია. საჭიროა სიცხადე იმასთან დაკავშირებით, რომ ამით იგულისხმება წევრების მიერ ნებაყოფლობით გაწეული სამუშაო. ის, რომ გაერთიანების წევრები ასრულებენ სამუშაოს საკუთარი გაერთიანებისთვის ბუნებრივი მოვლენაა თვითონ გაერთიანების ბუნებისთვის და ეს ბუნებრივია ეხება აგრეთვე პოლიტიკურ პარტიებს. შესრულებები მესამე პირების მიერ, რომელსაც ისინი უსასყიდლოდ ახორციელებენ პარტიისთვის, უნდა შეფასდეს, როგორც შემოწირულობა.

25-ე მუხ. მე-3 ნაწ. - სავსებით სწორად - მოიცავს აგრეთვე საპირისპირო შესრულების გარეშე პარტიის სასარგებლოდ განხორციელებულ შესრულებებს მესამე პირების მხრიდან. თუმცა კანონის ტექსტის ინგლისურენოვანი ვერსიის გამო ჩემთვის ენობრივად ბოლომდე გასაგები არ არის, თუ რა იგულისხმება სახსრების მიმღების იდენტიფიცირებაში - ამ შემთხვევაში ხომ ზუსტადაც საქმე ეხება პარტიის (ან საარჩევნო კანდიდატის) სასარგებლოდ განხორციელებულ შესრულებას.

მისასალმებელია მესამე პირების მიერ გაწეული შესრულების, რომელიც სასარგებლოა პარტიისთვის, შემოწირულობის ცნების ქვეშ მოაზრება და ამით მისი საჯაროობის ვალდებულებას დაქვემდებარება. თუმცა შესრულებებისას, რომელიც პარტიასთან შეუთანხმებლად ხორციელდება, მაშასადამე, რომელიც მხოლოდ ობიექტურადაა სასარგებლო, ვაწყდებით პრობლემას, რომ პარტიის წინააღმდეგ ვერ იქნება გამოყენებული სანქციები მსგავსი შესრულებების მიღების გამო. ის რაც პარტიას არც გამოუწვევია და არც გავლენა მოუხდენია მასზე საფუძვლად ვერ დაედება მხარისთვის სანქციის დაწესებას. საჯაროობის ვალდებულება და ზედა ზღვარი შეიძლება მოქმედებდეს აგრეთვე მსგავსი შესრულებებისთვის.

პარტიის ფინანსების საჯაროობის ვალდებულებები წარმოადგენს პარტიის შემოწირულობაზე საზოგადოებრივი კონტროლის გავრცელებულ ინსტრუმენტს და აგრეთვე მსგავსი შემოწირულობებისთვის სამართლებრივად ფიქსირებული ზედა ზღვრის დაწესების შესაძლებლობას. მოქალაქეობრივი ჩართულობის გაძლიერებისთვის პარტიების შიგნით და პარტიებისთვის საჭიროა პარტიული შემოწირულობის გაღების მზადყოფნის გაძლიერება. აქედან გამომდინარე, შემომწირველების გვარების დასახელების ვალდებულება, რაც მოწესრიგებულია 26-ე მუხ. მე-2 ნაწილში უნდა მოქმედებდეს მხოლოდ იმ შემოწირულობებზე, რომელიც სცილდება მინიმალურ ზღვრულ ოდენობას. მსგავსად საწევროებისა, ამ კატეგორიის შემოწირულობებისთვისაც მოსაფიქრებელია საგადასახადო შეღავათების დაწესება, თუმცაღა

ამის სტრუქტურულად მოწესრიგება უნდა მოხდეს მზარდი საგადასახადო პროცენტისგან დამოუკიდებლად და ამავედროულად უნდა დაწესდეს ზედა ზღვარი.

ძალზე მოკლეა 27<sup>1</sup>-ე მუხ. პირველ ნაწილში შემოწირულობებისა და საწევროების შესახებ ინფორმაციის წარსადგენად განსაზღვრული ხუთდღიანი ვადა. არ უნდა მოხდეს პარტიების მიმართ გადამეტებული მოთხოვნების წაყენება, მათ შორის, როდესაც საქმე ეხება ფინანსურად მგრძნობიარე სფეროს. კანონისმიერმა რეგულაციებმა არ უნდა აიძულოს პარტიები შექმნან ბიუროკრატიული აპარატი. პარტიული საქმიანობა შესაძლებელი უნდა იყოს აგრეთვე პროფესიული საქმიანობის პარალელურად. აქედან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა ამ ვადის გახანგრძლივება. თუმცა ძალზე მაღალი შემოწირულობებისთვის შეიძლება საკმაოდ მოკლე ვადის გათვალისწინებაც.

გაუგებარია 26-ე მუხ. მე-4 ნაწილის მნიშვნელობა, რას ნიშნავს „საჯარო ღონისძიებები“? როდესაც საქმე ეხება ბროშურებისა და მსგავსი სახის პროდუქციის გაყიდვას, ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს „შემოწირულობებთან“, თუმცა 26-ე მუხ. მე-4 ნაწ. მე-2 წინ. იყენებს ამ ცნებას. თუ გვსურს, რომ კანონი იყოს უფრო გამართული შეიძლება უარი ვთქვათ 26<sup>1</sup>-ე მუხ. მე-4 ნაწილზე. ფინანსური რეგულაციის არსი გასაგებია და აქედან გამომდინარე არ არის საჭირო ამის აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმა.

*შემოწირულობებისთვის ზედა ზღვრის დაწესება*, რომელიც მოწესრიგებულია 27-ე მუხლით, წარმოადგენს გონივრულ ღონისძიებას დიდი ფულის გამო გავლენის მოხდენის შესაძლებლობის შეზღუდვისთვის.

ამავდროულად, ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა მოხდეს იმ თანხების შეჯამება, რომელსაც გაიღებს ერთი და იგივე შემომწირველი წლის განმავლობაში სხვადასხვა პარტიისთვის და რატომ არ უნდა აღემატებოდეს ამ თანხების საერთო ოდენობა ზედა ზღვარს. ზედა ზღვრის დაწესების იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ცალკეული შემომწირველის გავლენის შეზღუდვა პარტიის საქმიანობაზე. თუ ერთი და იგივე პირი რამდენიმე პარტიის სასარგებლოდ განახორციელებს შემოწირულობას, ამით მისი გავლენა შემოიფარგლება ამ ცალკეულ პარტიებზე, რამდენადაც თითოეული შემომწირულობა ზედა ზღვარს არ აჭარბებს. სხვადასხვა პარტიის მიმართ შემოწირულობის გაღება არ წარმოადგენს პრობლემას იმდენად, რამდენადაც პარტიები, როგორც წესი, ერთმანეთის კონკურენტები არიან. სხვა სახელმწიფოებში მიღებული პრაქტიკაა, რომ დიდი კომპანიები ყველა პარტიის მიმართ იღებენ შემოწირულობებს, რაც აღიქმება, როგორც ამ კომპანიების მიერ პარტიული სისტემის ფუნქციონირების შენარჩუნებაში შეტანილი წვლილი.

პარტიებს არ აქვთ უფლება მიიღონ ფულადი დახმარება ნებისმიერი დონორის მხრიდან. სავსებით სწორია ის მიდგომა, რომ არსებობს განსაზღვრული *შემომწირველები*, რომელთაგან პარტიებს *კრძალვებთან* შემოწირულობის მიღება. ეს ჩამონათვალი მოცემულია 26-ე მუხ. პირველ ნაწილში. დასაბუთებას საჭიროებს, თუ რატომ არ აქვთ უფლება ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით არასამეწარმეო იურიდიულ პირებს შემოწირულობების გაღების უფლება (გარდა ლექციების, სემინარების და ა.შ. მოწყობისა), განსაკუთრებით 26<sup>1</sup>-ე მუხ. მე-5 ნაწილთან მიმართებით, რომლის მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციებს უფლება



აქვთ წვლილი შეიტანონ პარტიების განვითარებაში.

გონივრულია 27-ე მუხ. მე-2 ნაწილის დანაწესი კომპანიებთან დაკავშირებით, რომლებიც დასახელებული მოცულობით, გამარტივებული პროცედურებით იღებენ სახელმწიფო დაკვეთებს. თუმცა სამართლებრივ-ტექნიკური თვალსაზრისით ეს დანაწესი უნდა განთავსდეს აკრძალულ შემომწირველთა ჩამონათვალში, მაშასადამე, 26-ე მუხ. პირველ ნაწილში.

### გ. სახელმწიფო დაფინანსება

პოლიტიკურმა პარტიებმა სხვადასხვა საფუძვლიდან გამომდინარე უნდა მიიღონ დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეს აგრეთვე აძლიერებს თანაბარ შესაძლებლობებს პარტიებისთვის, რომლებიც მაინც და მაინც ვერ იზიდავს ფინანსურად ძლიერ წრეებს. ამით ხდება პარტიებს შორის კონკურენციის ინტენსიურობის შენარჩუნება. გარდა ამისა, ეს ასუსტებს პარტიების მზადყოფნას გაიხსნან კორუფციული შემოთავაზებებისთვის. პარტიების სახელმწიფო დაფინანსება, პირველ რიგში, ემსახურება პარტიების ქმედითუნარიანობას. ეს წარმოადგენს მოქმედი რედაქციის მე-7 მუხლში განსაზღვრული სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამოხატულებას პარტიების მიმართ. პარტიები წარმოადგენს საჯარო სიკეთეებს დემოკრატიისთვის, რაც უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, როგორც გზები, სკოლები ან ინფრასტრუქტურული ობიექტები: პარტიები წარმოადგენს საჭირო ინფრასტრუქტურას დემოკრატიისთვის. საპარლამენტო დემოკრატიის აღმშენებლობის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო დაფინანსებას პარტიული სისტემის განვითარებისთვის.

სახელმწიფო დაფინანსება ეკონომიურობის საფუძვლებიდან გამომდინარე არ უნდა მიიღოს ყველა პარტიამ, არამედ მხოლოდ იმ პარტიებმა, რომლებიც მიიღებენ მოქალაქეების მინიმალურ მხარდაჭერას. 30-ე მუხ. მე-2 ნაწ. მიხედვით მსგავსი სახელმწიფო დაფინანსების წინაპირობაა მინიმუმ 3% ხმების მიღება არჩევნებზე (შეიძლება ამ დანაწესის ტექსტის გამარტივებაც). ეს ზღვარი საკმაოდ მაღალია. კონკურენციის გამწვავების ასპექტის გათვალისწინებით, ყურადსაღებია, რომ აგრეთვე პოტენციურ კონკურენტებს შეუძლიათ საფუძველი ჩაუყარონ მოქმედი პარტიების აქტიურობის გაძლიერებას: პარტიები, რომლებიც მანამდე წარმატებულები იყვნენ, უფრო გააძლიერებენ საკუთარ ძალისხმევას, იმის შიშით, რომ არასაკმარისი აქტიურობით შესაძლოა ისინი ჩაანაცვლონ კონკურენტებმა. ეკონომიკის სამართლის ცნება „ბაზარზე შესვლის შესაძლებლობები“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე პოლიტიკურ კონკურენციასთან დაკავშირებით.

უნდა ვაღიაროთ, რომ დაფინანსებისთვის დაწესებული ამ ზღვარის დაწევა მოქმედებს პარტიების სისტემის კონსოლიდაციის წინააღმდეგ. არსებითად ხელი ეშლება პარტიების შექმნის თავისუფლებას, თუ პარტია სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებს მხოლოდ საკმაოდ მაღალი ბარიერის დაძლევის შემთხვევაში. ეს მით უფრო მოქმედებს, რაც უფრო მაღალია პოლიტიკურ სისტემაში პარტიების სახელმწიფო დაფინანსების ხვედრითი წილი. როგორც ჩანს კანონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო დაფინანსების სისტემას. მისასაღმებელია არსებული რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს საბაზისო დაფინანსებას (30-ე მუხ. მე-3 და

მე-5 ნაწ.), ვინაიდან ეს ასე თუ ისე ქმედუნარიანს ხდის ყველა პარტიას (რომელმაც გადალახა დაწესებული ბარიერი).

სწორია, უფრო სწორად, უალტერნატივოა სახელმწიფო დაფინანსების დაკავშირება ამომრჩევლების მხარდაჭერასთან. სახელმწიფომ ამ შემთხვევაში საბიუჯეტო საშუალებები საკუთარი შეხედულებისამებრ კი არ უნდა განკარგოს, არამედ უნდა გაანაწილოს პარტიებზე მოქალაქეთა მხარდაჭერის პროპორციულად. თუმცა, მიუხედავად ამისა, 30-ე მუხლის მე-6 და მომდევნო ნაწილების რეგულაცია ბადებს გარკვეულ კითხვებსა და ეჭვებს.

30-ე მუხ. მე-3 ნაწილსა და მე-4 ნაწილის ფორმულაში წარმოდგენილი განაწილების სტრუქტურა ორჯერ ითვალისწინებს პარტიების მიერ მიღებულ ამომრჩეველთა ხმებს: ერთ შემთხვევაში პირდაპირ ამომრჩეველთა ხმებს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, არაპირდაპირ პარტიის მიერ მიღებული მანდატებიდან გამომდინარე; ხოლო იმ შემთხვევაში თუ პარტია ფრაქციის ძალით შევა პარლამენტში, ამომრჩევლების მხარდაჭერის შეფასება ხდება მესამეჯერაც. ეს მიდგომა არ არის ობიექტურად დასაბუთებული და ზედმეტად ართულებს კანონისმიერ რეგულაციას. ნაცვლად ამისა, უნდა მოხდეს დაფინანსების განაწილება უბრალოდ ამომრჩეველთა ხმების შესაბამისად.

არსებული რეგულაცია მკვეთრად პროგრესულია. ეს ნიშნავს იმას, რომ ძლიერი პარტიები ფინანსდება ძალზე არაპროპორციულად, რაც წარმოადგენს 30-ე მუხ. მე-4 და მე-6 ნაწილების რეგულაციების შედეგს. მსგავსი პროგრესული დაფინანსება შეიძლება გამართლდეს, როგორც პარტიული სისტემის კონცენტრაციაში შეტანილი წვლილი, ის შეიძლება განიმარტოს, როგორც პარტიების შერწყმის მოტივაციის საშუალება, იმისთვის, რომ მოხდეს პარტიების ძალზე მაღალი დაქსაქსულობის თავიდან აცილება. პარტიების თანაბარი შესაძლებლობების ასპექტიდან გამომდინარე სახელმწიფო დაფინანსების მსგავსი სახით გამოკვეთილად პროგრესულობა საეჭვოა და გარდა ამისა შეიცავს კონსტიტუციურ-სამართლებრივ რისკს.

ორიგინალურია და მხარდაჭერას იმსახურებს ქალების მხარდაჭერის ინსტრუმენტი 30-ე მუხ. მე-7<sup>1</sup> ნაწ., განსაკუთრებით, ვინაიდან ის უფრო შერბილებულ ვერსიას წარმოადგენს, ვიდრე კანონით დადგენილი კვოტაა. 30-ე მუხ. მე-9 და მე-10 ნაწილები გასათვალისწინებელია გარდამავალ დებულებებში, როდესაც სამომავლოდ გაუქმდება საარჩევნო კოალიციები (საარჩევნო ბლოკები).

30-ე მუხ. მე-11 ნაწილი წარმოადგენს პარტიული სისტემისთვის სასარგებლო რეგულაციას, რომელიც ითვალისწინებს ფაქტს, რომ არ არის სავალდებულო, რომ პარტია იყოს ზედმიწევნით კარგად ორგანიზებული სუბიექტი.

გასათვალისწინებელია *მიმართება პარტიების ზოგად სახელმწიფო დაფინანსებასა და საარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფინანსებას შორის*. ამ ორი დაფინანსების სიტუაციის წესები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ერთმანეთთან.

დამატებითი დაფინანსება 30-ე მუხ. მე-12 ნაწილში დაკავშირებულია გარკვეული წინაპირობის არსებობასთან, კერძოდ, ამ დაფინანსებას მიიღებენ ის პარტიები, რომლებსაც ბოლო საერთო არჩევნების შედეგების მიხედვით წარმოეშვათ დაფინანსების მიღების უფლება. პრობლემას წარმოადგენს წარსულზე ეს ორიენტირებულობა. ის ხელს უშლის პარტიების თანაბარ

შესაძლებლობებს მომავალ არჩევნებში. წარსულზე ფიქსირება ხელსაყრელია წარსულში წარმატებული პარტიებისთვის. უმჯობესი იქნებოდა რეგულაცია, რომლის მიხედვით არჩევნებში მონაწილე ყველა პარტია მიიღებდა საბაზისო დაფინანსებას მსგავსი სარეკლამო კამპანიისთვის. აქედან გამომდინარე, მსგავსი სახის მატერიალური დახმარება პარტიებს შორის შეიძლება განაწილდეს ბოლო არჩევნებში მიღწეული წარმატების პროპორციულად; მართალია ეს არ არის განაწილების იდეალური ფორმულა, თუმცა სამაგიეროდ სანდო და ხელმისაწვდომია, ვინაიდან დემოსკოპიური გამოკითხვები შედარებით არასანდო და მანიპულირებადია.

#### დ. ზედა ზღვარი პარტიების მიერ გასაწევი ხარჯებისთვის

ქართული სამართალი, როგორც ბევრი სხვა სახელმწიფო, პარტიების მიერ გასაწევი ხარჯებისთვის აწესებს ზედა ზღვარს, რაც კვლავინდებურად ემსახურება იმას, რომ ფინანსური საშუალებების არაპროპორციულად მაღალმა ოდენობამ მნიშვნელოვნად არ განაპირობოს არჩევნებში წარმატების მიღწევა. ეს რეგულაციები მოწესრიგებულია 25<sup>1</sup>-მუხლში. სამსჯელოა, თუ რამდენად საჭიროა 25<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწ. დანაწესის არსებობა. პარტიის თავისუფლების ნაწილს წარმოადგენს ის, რომ თავად განსაზღვროს, თუ როგორ გაანაწილებს გასაწევ ხარჯებს. თანხების საკმაოდ დიდი ნაწილის დახარჯვა საკონსულტაციო მომსახურებაზე, ჩემი აზრით, არ წარმოადგენს პრობლემას, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ეს თანხები ვერ იქნება გამოყენებული სხვაგვარად და აგრეთვე კონსულტაციის ბუნებიდან გამომდინარე, ვინაიდან კონსულტაციებს ყოველთვის როდი მოაქვს სასურველი შედეგი.

25<sup>1</sup>-ე მუხ. მე-5 ნაწილში გასაგები უნდა იყოს, ამით მხოლოდ ის ფინანსური საშუალებები იგულისხმება, რომელსაც პარტია თვითონ ხარჯავს, თუ აგრეთვე ის საშუალებებიც, რომელსაც იყენებენ მესამე პირები - პარტიის მოთხოვნის გარეშე!. ამ შემთხვევაშიც კვლავინდებურად საქმე ეხება მესამე პირების მიერ პოლიტიკური დახმარების გაწევის პრობლემას, როგორც ეს უკვე აღინიშნა 25-ე მუხ. მე-3 ნაწილის შემოწირულობის ცნებასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ ბ.ბ).

#### ე. ფინანსების რეგულირების კონტროლი

პარტიების შესახებ ქართული კანონი პარტიების ფინანსების კონტროლის გადამწყვეტ ინსტანციად ასახელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. ეს არის დამოუკიდებელი და კომპეტენტური ინსტანცია. თუმცა უნდა გადამოწმდეს ამ კონტროლის არსებული სტრუქტურა. ანგარიშვალდებულების დეტალებს დღემდე ადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, იხ. 32-ე მუხ. მე-5 ნაწ., 32<sup>2</sup>-ე მუხ. და განსაკუთრებით 34<sup>1</sup>-მუხლის მე-2 ნაწ. ეს იწვევს რეგულაციების გაუგებრობას. პირველ რიგში, საქმე ეხება პარტიების ანგარიშვალდებულების წესებს, რომელსაც კანონი კი არ ადგენს, არამედ სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ეს პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ პარტიებმა უნდა იხელმძღვანელონ არა მხოლოდ პარტიების შესახებ კანონით, არამედ უნდა ჩაიხედონ აგრეთვე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილ წესებშიც, რათა სწორად შეასრულონ საკუთარი ვალდებულებები.



გარდა ამისა, ანგარიშვალდებულებების კონკრეტიზაციის დელეგირებით სახეზეა, ყოველ შემთხვევაში, სიმბოლურად მაინც, ამ წესების მეორეხარისხოვნების ხაზგასმა. ანგარიშვალდებულებების დებულებების ავტორიტეტულობის გაძლიერებისთვის საჭიროა ამ რეგულაციების თვითონ კანონში მოწესრიგება. ამასთან შესაძლებელია ამ რეგულაციების გამარტივებაც. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცი, თუ რამდენად გამჭვირვალე რეგულაციები შეიმუშავა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პარტიების ფინანსურ ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით და რამდენად კომპლექსურია ეს რეგულაციები, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პარტიების სამართალი არ უნდა იყოს რთულად სტრუქტურირებული, რამეთუ პარტიებს აგრეთვე როგორც არა ექსპერტების გაერთიანებებს შეეძლოთ ამ წესების დაცვა.

34-ე მუხ. პარტიებს განუსაზღვრავს ხუთდღიან ვადას საფინანსო დეკლარაციის წარსადგენად. ეს ვადა საკმაოდ მოკლეა იმის გათვალისწინებით, თუ შესაძლებელი უნდა იყოს პარტიების მართვა დილექტანტების მიერ, რომლებიც პარტიულ საქმიანობას ეწევიან პროფესიული საქმიანობის პარალელურად.

### ვ. სანქციები სამართალდარღვევებისთვის

აუცილებელია სამართალდარღვევების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების გატარება, იმისთვის, რომ სამართლებრივმა ნორმებმა არ დაკარგოს მნიშვნელობა. თუმცაღა საჭიროა ამ კუთხით არსებული წესების ზოგიერთი პუნქტის ხელახლა გააზრება.

ზედმეტად მეჩვენება 34<sup>2</sup>-მუხ. მე-16 ნაწ.: თავისთავად ცხადია ის, რომ აკრძალულია სამართლებრივი წესების დარღვევა. ანალოგიური მოქმედებს 27<sup>1</sup>-ე მუხ. მე-3 ნაწილთან დაკავშირებითაც.

34<sup>2</sup>-ე მუხ. მე-2 ნაწილი იმ შემთხვევისთვის, თუ პარტია მიიღებს აკრძალულ შემოწირულობას და ამის შესახებ მან არაფერი იცოდა ან არ შეეძლო სცოდნოდა, ამ შემოწირულობის შუამავლის მიმართ ითვალისწინებს სანქციის დაწესებას. ნიშნავს თუ არა ეს, რომ 34<sup>2</sup>-ე მუხ. პირველი ნაწ. მიხედვით პარტიის წინააღმდეგ სანქციის დაწესების წინაპირობას წარმოადგენს პარტიის ბრალეულობის არსებობა? თუ ეს ასეა, მაშინ საჭიროა ამის პირდაპირ მითითება. 34<sup>2</sup>-ე მუხ. მე-3 ნაწილის მიხედვით პირი, რომელიც დაარღვევს 26-ე მუხ. პირველ ნაწილს ისჯება სანქციით. ნიშნავს თუ არა ეს, რომ პირველი ნაწ. მიხედვით ისჯება, როგორც პარტია აგრეთვე მე-3 ნაწ. შესაბამისად მოქმედების განმახორციელებელი პირი?

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ სანქციებს 34<sup>2</sup>-ე მუხ. მე-2 ნაწილის მიხედვით თვითონ სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ აწესებს: ეს თავიდან აგვაცილებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლთან დაკავშირებულ კონფლიქტს.

## V. დასკვნითი შენიშვნები

პოლიტიკური პარტიების სამართლის სამართლებრივი მოწესრიგება ხელს უნდა უწყობდეს პარტიების საქმიანობასა და პოლიტიკური პარტიების განვითარებას პოლიტიკური პარტიების

სამართლის რეალიზების ფუნქციის შესაბამისად (I.2.). ამავდროულად პარტიების შესახებ კანონი უნდა ამცირებდეს იმ საფრთხეებს, რომელიც არსებობს პარტიული საქმიანობის წინაშე. შეზღუდვის ეს ფუნქცია უნდა შემუშავდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხ. მე-4 პუნქტის მე-2 წინადადებაში მოწესრიგებული ოთხ ძირითად პრინციპზე დაყრდნობით.

წინა პლანზე დგას, ერთი მხრივ, პარტიებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ფინანსური თანაფარდობის კუთხით. ამასთან დაკავშირებით კანონის არსებული რედაქცია შეიცავს მკაცრ და დეტალურ დებულებებს, რომელიც შესაძლოა განსაზღვრული მიმართულებებით ძალზე მკაცრი და დეტალურიც კი იყოს. მეორე მხრივ, თანაბარი შესაძლებლობების კუთხით პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის აგრეთვე კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კონკურენციის ღიაობის შენარჩუნება. არსებული სიტუაცია ამ მიმართულებით უფრო ცალმხრივად წარმატებული პარტიებისკენ იხრება.

სასურველია მკაცრი ზომების მიღება შიდაპარტიული დემოკრატიის უზრუნველყოფისთვის. ამისთვის საჭიროა, რომ შესაბამისი სამართლებრივი დებულებები მოწესრიგდეს თვითონ კანონში და არა პარტიების წესდებებში, რაც ძალზე არასაკმარისი იქნებოდა ამ მიზნის მისაღწევად.

კანონში აგრეთვე დეტალურად უნდა გაიწეროს დებულებები პარტიების ფინანსურ ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით (როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხ. მე-4 ნაწ. მე-2 წინადადებით მოწესრიგებული გამჭვირვალობის მოთხოვნის შედეგი) და არ უნდა მოხდეს ამის დელეგირება სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის. ეს ემსახურება აგრეთვე მსგავს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ საჩივრებსა და თვითონ ამ წესების გამჭვირვალობას.

საერთო ჯამში, პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონი არ უნდა შეიცავდეს ზედმეტად ბევრ წესსა და ზედმეტად მკაცრ მოთხოვნებს. პარტიებს უნდა შეეძლოთ კანონის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესრულება, ისე, რომ ამისთვის არ უნდა სჭირდებოდეთ საექსპერტო ცოდნა. კანონის მოთხოვნების შესრულება შესაძლებელი უნდა იყოს აგრეთვე იმ პირების მიერ, რომლებიც არ არიან ჩახედული ამ საქმეში და რომლებიც პროფესიული მოღვაწეობის პარალელურად ახორციელებენ პარტიულ საქმიანობას. პარტიული საქმიანობა არ უნდა იყოს ძალზე გართულებული და კანონისმიერმა მოთხოვნებმა პარტიებს არ უნდა წარმოუშვას ძალზე მაღალი ხარჯები, იმისათვის, რომ მათი შესრულება შესაძლებელი იყოს პარტიების თანაბარი შესაძლებლობების პირობებში. ნაკლები რეგულაციები შედეგად შეიძლება ნიშნავდეს მეტ ეფექტიანობას. ძალზე მკაცრი მოთხოვნები იწვევს მათთვის თავის არიდების მცდელობას. როგორც ჩანს, ეს შემთხვევა გვაქვს სახეზე პარტიების შექმნის და რეგისტრაციის დროს.

პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის რეფორმირებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ განსაკუთრებით ახალგაზრდა დემოკრატებში შესაძლოა შეიცვალოს რეგულირების საგანი და ადგილი ჰქონდეს პარტიული ლანდშაფტისა და პარტიული სისტემის მუდმივ პროგრესს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დაკვირვება პარტიული სისტემის განვითარებაზე და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება განხორციელებულ ცვლილებებზე.